

# ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპიკი.

ქრისტეშული  
წინწინა  
წელისა  
N<sup>o</sup> 17  
თბილისი

კვირა, 25 ივნისი

ყოველკვირული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდე 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. 1877—1906 ადრესი: ტფილისი, ფრეილინის ქ., №5. ტელეფ. № 922.

**სარჩენი:** პარტიული რადიკალიზმი და კულტურულ განვითარება — ქართველთა ეთნოგრაფიკა და გლეხობა, მეგობრისა. — პატარა ფიქრები, ა. — ლისა. — დემოკრატია და პარტია, ურაველისა — ს. დ. — ს. ლექსი აკაისა. — ავტონომია, ფედერაცია და ეროვნული საკითხი, (რუსულიდან) გ. — ს. — რუსეთის ცხოვრებიდან, ნ. — ს. — კურკას ქორწილი, მ. აღმაშვილისა.

## პარტიული რადიკალიზმი და კულტურული განვითარება

### II

უცილობელ ჭეშმარიტებადაა მიჩნეული, რომ პრესის სარკვე საზოგადოებრივ ცხოვრებისა, გამოხატველია მასში არსებულ მისწრაფების და ურთიერთობისა. ყველა კულტურულ ქვეყნებში გაზეთი, თუ ეკონომიურის საზომით განვსჯით, ისეთივე საქონელია, როგორც სხვა ყოველივე საბაზრო ნაწარმოები და მას ერთ თვისაც არ შეუძლია არსებობა, თუ მკითხველები ასე თუ ისე არ დააკმაყოფილა და მათი სოციალური ინტერესები და მისწრაფებანი არ გამოხატა. ამიტომაც პრესის, როგორც ორგანო საზოგადოებრივ აზრისა, მკიდროდ დაკავშირებულია საზოგადოებასთან და ითვლება მის სარკედ, მისი სახის გამოხატველად.

ასევე უცილობელ ჭეშმარიტებადაა მიჩნეული, რომ პოლიტიკური არჩევანები, — თუ იგი ხელოვნურად გაყალბებული არაა, — საშუალებაა ხალხის სურვილისა და ლტოლვილების გამოხატვადაც. ყველა კულტურულ ქვეყნებში არჩევანების დროს სხვა და სხვა პარტიის კანდიდატები ერთმანეთს ეჯიბრებიან, თავიანთ პროგრამებს ერთმანეთს უპირდაპირებენ, ამ პროგრამებში გამოხატულ პრინციპების საფუძველით ამომრჩევლებს მათი ინტერესების დაცვას ჰპირდებიან და ასე საარჩევნო ყუთთან მომხრეებს აგროვებენ და მათ ხმებს ინაწილებენ. არჩევანის შედეგი, ხმების დათვლა, ხელად ამჟღავნებს, ვინ გაიმარჯვა და ან ვინ იქმნა დამარცხებული. ამა თუ იმ კანდიდატის გამარჯვება ან დამარცხება მომასწავებელია ამომრჩევლების წინაშე მისი პროგრამის გამარჯვების ან დამარცხებისა. არც ერთი კანდიდატი თავის გამარჯვებას ან დამარცხებას არ სთვლის თავის პირად გამარჯვებად ან დამარცხებად, ვინაიდან იქ ბრძოლაა არა პიროვნებათა, არამედ პრინციპების და მიმართულებისა. ამიტომაც ყველა გამარჯვებულ კანდიდატებს თავისი გამარჯვება იმის მომასწავებელია მიიჩნია, რომ მისი პარტიის პროგრამაში გატარებულმა იდეალმა და მისწრაფებამ ამომრჩეველთა უმრავლესობა მიიზნო და იდეების დუელში გაიმარჯვა. და რახან ეს ასეა, აღვილი ვასაგებია, რომ პოლიტიკური არჩევანები საზოგადოდ ხალხის სურვილების გამოხატვის საშუალებადაა მიჩნეული და, ამ არჩევანების შედეგის მიხედვით, ესე იგი სხვა და სხვა პარტიების გაძლიერებისა თუ დასუსტების კვალობაზე, სჯიან


ხალხში სხვა და სხვა სოციალ-პოლიტიკურ იდეებისა და მისწრაფებათა გავრცელებას და განმტკიცებას.

ამ მხრივ ერთნაირი ხასიათი და ნიშნობლივი თვისება აქვს პრესას და პოლიტიკურ არჩევანს, — ორივე მეტ-ნაკლებად გამოხატავს საზოგადოების აზრს, მის სურვილს და მისწრაფებას.

თუ ასეთი აზრი პრესისა და პოლიტიკურ არჩევანების შესახებ სინამდვილის გამოხატველია ყველგან და ყოველთვის, იმ შემთხვევაში ჩვენ ქართველები, ბედის მადლიერი უნდა ვიყოთ, რადგან ამ მხრივ ჩვენს ცხოვრებაში ჩანს ისეთი მოვლენა, რომელიც, — თუ ზემოდ აღნიშნული ჭეშმარიტება ჩვენს შესახებაც მართალია, — დიდად სანუგეშო და სასიამოვნო არის. სანუგეშო არის, რადგან იგი ჩვენს დიდ წინსვლედობასა და დაწინაურებას მოწმობს. მთელი ქართული პრესა მეტ-ნაკლებად მხოლოდ სოციალისტურია, ქართველებში მომქმედი და გავრცელებული პარტიები უმთავრესად სოციალისტური პარტიებია, საპარლამენტო არჩევნებშიაც გამარჯვება მხოლოდ სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლებს დაჩაბთ. მთელს ერს აქვს პრესის მხოლოდ სოციალისტური, მთელი ერი თავის წარმომადგენლებად პარლამენტისათვის ირჩევს მხოლოდ სოციალისტ კანდიდატებს, — აი ის მოვლენა, რომელსაც გვიდგენს თვალწინ ჩვენი დღევანდელი ცხოვრება. თუ საზოგადოდ პრესისა და პოლიტიკური არჩევანის სისწორით გამოხატავს ხალხის აზრსა და სულიერ განწყობილებას, იმ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენი საერთო იდეური დაწინაურება ფრიალ თვალსაჩინოა. უნდა ვიფიქროთ ასე იმიტომ, რომ სოციალიზმი დიდი იდეალია და მოასწავებს სურვილებში სამართლიანობის დამყარებას. თუ ცხოვრების სარკე, ხალხის მისწრაფების გამოხატველი პრესისა და არჩევანების შედეგი სოციალისტურია, თუ, მაშასადამე, მთელი ქართველი ხალხი ან მისი უმრავლესობა სოციალისტურ მსწრაფებას შეუპყრია და სოციალიზმის დიდად იდეალს გაუტაცნია, — ცხადია, ჩვენს ხალხს ჰქონია დიდი კულტურული მომზადება და თვალსაჩინო სოციალ-პოლიტიკური ცნობიერება. და, რა თქმა უნდა, ასეთი დასკვნა, თუ იგი მართალია, თუ სიმართლეს შეესაბამება, დიდად სანუგეშო და სასიამოვნოა.

სწორედ ასეთ დასკვნას სიმართლედ სთვლიან და ამგვარად სასიამოვნო ძილის პირს ეძლევიან დღეს ჩვენში ზოგიერთები და ჰგონიან, რომ სხვა და სხვა კრებებზე დამსწრეთაგან შემოძახება: „სოციალიზმს გაუმარჯოსო“ ან საარჩევნო ყუთებში წითელ ბიულეტენების რიცხვის უპირატესობა მომასწავებელია ქართველ ერის დიად კულტურულ განვითარების და დაწინაურებისა. საკმარისია, ამ მოვლენას ცოტა ექვის თვალით შეხედოთ, მაგნებელ ოპტიკიზმს არ მიეცეთ და სინამდვილეს





პირდაპირ შეხედოთ, რომ ზოგიერთი პატარა წიგნაკებით ვარაღიკალბული პუბლიცისტები მაშინვე სასაცილოდ ავიღებენ და შენს „ჩამორჩენილობას“ დიდს ზეიმით ქვეყანას აცნობებენ: აი, ნახეთ, რა უფიცია, არ სცოდნია, რომ სოციალისტებისთვის სამსახური კულტურული მუშაობაა და სოციალისტების იდეალის შეგნება და მის განსახორციელებლად ბრძოლის გაწევა კულტურულ მომზადების მომასწავებელია. ასეთი ტიპის პუბლიცისტი გახლავთ, სხვათა შორის გახ. „შრომის“ უსახელო პუბლიცისტი, რომელსაც ჩვენი შეუგნებლობისა და ჩამორჩენილობის მიჩვენებლად ეჩვენება ის გარემოება, რომ ჩვენ კრპტიკულად ვუცქერით ქართველ ხალხის ახლანდელ გატაცებას სოციალიზმით და არ გვჯერა, რომ ამგვარი გატაცება თავის თავად მომასწავებელი იყოს დიდი კულტურულ მომზადებისა.

წარმოვიდგინოთ ერთ წუთს სიმართლედ ის, რაც არ არის სიმართლე და ვიფიქროთ, რომ სოციალისტური გატაცება თავის თავად, სხვა გარემოებათაგან დამოუკიდებლად, ხალხის მალალ კულტურის მომასწავებელი არის. მერე და ჩვენც რომ ასეთ სანუგეშო მდგომარეობაში ვართ—განა ამას გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ ქართული პრესა მიმართულებით სოციალისტურია ან საარჩევნო ბიულეტენების უმრავლესობა სოციალისტებისა? მოგხსენებათ, ჩვენში ვერც ერთი გაზეთი ვერ ჰყარავს ხარჯებს თავის საკუთარ შემოსავლით. თითოეული გაზეთი თავის დეფიციტს ჰყარავს ან სხვა წარმოების შემოსავლით, ან ქველმოქმედების დახმარებით, ან პარტიის კასის საშუალებით. ჩვენში ყველაზე უფრო ძლიერი პარტია არის სოც.-დემოკრატიული პარტია და ყველაზე მეტი მკითხველები ამ პარტიის გაზეთს („ლამპარს“), როგორც თვითონ გამოაცხადა, თვეში ორას თუმანზე მეტი დეფიციტი აქვს. ასეა სხვა გაზეთების საქმეც. ასეთ პირობებში მსუნთქავ ქართულ პრესის სოციალისტობა არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ყველა, ვინც ამ გაზეთებს კითხულობს, ვასოციალისტაა. უფრო ეს იმის მომასწავებელია, რომ გაზეთებში მომუშავე ჟურნალისტები სოციალისტები არიან. მაგალითად, ხვალ რომ გამოჩნდეს ვინმე შეძლებული კაცი, რომელმაც რამდენიმე ათასი თუმანი გადადგას და კლერიკალურ მიმართულების გაზეთის გამოცემა იწყოს, ეს გაზეთიც იარსებებს, სანამ პატრონს ფულის ხარჯვა არ დანანდება. მაგრამ ეს არსებობა იმის მომასწავებელი არ იქნება, რომ ჩვენში კლერიკალიზმი აღორძინდა.

რაც შეეხება არჩევნებში სოციალისტთა მომხრეების სიმრავლეს, ცხადია, რომ ეს ფაქტიც თავისთავად არ ამტკიცებს სოციალისტურ იდეების გაბატონებას ქართველ ერში. არჩევნებში მონაწილეობის მიმღებთა რაოდენობა უმნიშვნელო უმცირესობაა მთელ ერის რიცხვთან შედარებით.

თუმცა ეს ასეა, თუმცა სოციალისტურ იდეების გავრცელება ქართველ ხალხში ისე ღრმა და ძლიერი არაა, როგორც ეს გარეგნობით ჩანს, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ სოციალისტური შეხედულება შედარებით უფროა ჩვენში მოდებული, ვიდრე სხვა რომელიმე სოციალ-პოლიტიკური მიმართულება. და ეს მოვლენა კი დამახასიათებელია ჩვენი საზოგადოებრივი ყოფა-მდგომარეობისა, მაგრამ იმ მხრივ კი არა, ვითომ იგი ჩვენს დიდ კულტურასა და განვითარებას მოწმობდეს. პოლიტიკური, უქვეყლია, საქართველოზე ცოტა მაღლა დგას კულტურით, მაგრამ მის წარმოადგენლებად მარტო სოციალისტები არ სხედან რუსეთის პარლამენტში. საფრანგეთისა და გერმანიის გლეხობაში სოციალისტურ პარტიებს

შედარებით ბევრად ნაკლები მომხრენი ჰყავთ, ვიდრე საქართველოში, თუმცა კულტურის მხრივ ფრანგი და გერმანელი გლეხი ცოტათი სჯობნის ქართველ გლეხს. მარტო ამ რამდენიმე გალითის გაცვრით ხსენებაც საკმარისია, რომ ზოგიერთ ჩვენებურ ოპტიმისტთა ძილის ზირს ნიადაგი შეერყვას.

(შემდეგი იქნება)

### ბარბოქლი თხავა-აზნაურობა და მღვთობა

დღევანდელ მოძრაობაში ხშირად გაიგონებთ რომელიმე თავადისა ან აზნაურისაგან, რომელსაც კი რევოლუციის ტალღა მოჰხვდა და ჩვეულებრივი მშვიდობიანი ცხოვრება დაერღვა: „რას მერჩიან, არ ვიცი! ჩემს სიცოცხლეში გლეხისთვის არაფერი დამიშავებია, მეგობრულად, კარგად ვექცეოდი, დღეს-კი მოკვლას მიპირებს! რა დავაშავე? რის გულისთვის?“ და თავის უბედურების მიზეზად ასახელებს რევოლუციონერებს, პროპაგანდისტებს და სხვებს.

ასე ამბობს დღეს მემამულე და სიტყვები მისი ხშირად გულწრფელია. მართლა რომ არ იცის და ვერ გაუგია: რად სდევნიან მას? რად უქადიან სიკვდილს? რატომ არ ებრძვიან მას მარტო ეკონომიურ ნიადაგზე და, უსამართლობის მოსპობასთან ერთად, რად უნდათ მისი მოსპობაც!

წინა წერილში მოვიხსენიეთ, რომ ხალხს ვერ უპატივბია თავად-აზნაურისთვის „შეე რაზმში“ ჩაწერა და ჩიტბივით ხოცავს მათ, სიდაც კი მოასწრებს. ეს მრავალ მიზეზებში ერთი მიზეზთაგანია. არის კიდევ სხვა რამ, რითაც ხელმძღვანელობს გლეხი და რაც აიძულებს მას, გაისვაროს სისხლში თავისი მუშა ხელები, მაშინ როდესაც ღრმად სწამს, რომ არსებობს ღმერთი, სამოთხე და ჯოჯოხეთი.

ეს არის სიძულვილი თავად-აზნაურებისადმი. ამ სიძულვილს გლეხი ატარებდა გულში წლობით და ამ გრძნობამ დღეს იჩინა თავი, დღეს გადმოხეთქა მთის ძლიერი ნაკადულივით გლეხის განხმარ გულიდან. მხოლოდ ამით აიხსნება ის სიმკაცრე, რომელიც სარჩულად უდევს გლეხის დღევანდელ მოძრაობას, იმ გლეხისას, რომელიც დღემდის ღვთის მოყვარულ, მშვიდ და უწყინარ ადამიანად ითვლებოდა!

„შეე რაზმში“ ჩაწერას, ჩვილისა და სხვა და სხვა ზომებს, რომლებსთვისაც მიუმართავს ან მიმართავს თავად-აზნაური, გლეხი აპატივბდა მათ და დაუწყებდა ბრძოლას მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე, მაგრამ მას სძულს თავადი და აზნაური, ის ვერ გარკვეულა თავის გრძნობებში, ქკუა ერთს ეუბნება, გული მეორეს და გული სძლევს, გულს უფრო ემორჩილება.

სად არის მიზეზი ამ სიძულვილისა?

მიზეზი მრავალია. უმთავრესი მათგანი, რასაკვირველია, დედამიწაზე დამყარებული ისტორიული კანონია, რომელიც ჰყოფს ხალხს კლასებად: მგლებად და ცხვრებად, ბატონებად და მონებად. მაგრამ ამ საკითხს მე აქ არ შეეხები. ჩემი როლი უმცირესია. საკმარისად ვიცნობ სოფელს, დავეკვირებივარ თავადისა და გლეხის ერთად ცხოვრებას, მათ დამოკიდებულებას, მათ გრძნობებს, მათ სულის თქმას, მიხნახავს ბევრი მაგალითი, რომელიც ამ კლასებს კარგად ახასიათებს და მინდა გამოვარკვიო ის წვრილმანი ნივთები, რომლებიც ერთად შეერთდენ, დიდ წყლულად იქცენ და ის მდგომარეობა შექმნიან, რომელსაც დღეს ვხედავთ.

გავითვალისწინოთ გლეხის დღევანდელი მოძრაობა რუსეთისა და ჩვენში. იქაც და აქაც დღემდის გლეხი დადიოდა



სიბნელოში. ვერც მალა, ვერც დაბლა, ვერც გვერდით ის დღემდის ვერაფერს ჰხედავდა. არ იცოდა, რაში მდგომარეობს ჩვენი ცხოვრება, რა კანონები აქვს ამ ცხოვრებას, რა საფუძველზეა იგი აშენებული. იმან იცოდა მხოლოდ მუშაობა, მოთმინება, შიმშილისა და სიცივის ატანა, იცოდა სიკვდილ-სიცოცხლე. არ იცოდა, რა არის ცხოვრება, როგორც არ იცოდა და არ იცის დღესაც, რა არის მზე, დღე და ღამე! იმან იცის მხოლოდ, რომ გათენებისას რაღაც რგვალი ბრწყვილა და ცხელი ფარი ამოდის ერთსა და იმავე ალაგას, აღის ნელ-ნელა მალა, შემდეგ გვერდ-გვერდ და ჩადის მთის იქით, რის შემდეგაც მალე ბნელდება. რა არის მზე? რა დამოკიდებულება აქვს მზეს დღესა და ღამესთან, სიცივესა და სიცხესთან, იმან არ იცის და აზრადაც არ მოუვა იკითხოს. მას ჰგონია, რომ დღე, ღამე, სიცივე, სიცხე, წვიმა, თოვლი, ქარი ცალ-ცალკე არიან ღმერთისაგან გაჩენილი და ხან ერთი მოველინება მას და ხან მეორე; ხან ერთი გაიმარჯვებს, ხან მეორე. ერთმანეთს სცვლიან, ერთი მეორის ალაგს იჭერენ და სხვა.

დღემდის ასე უყურებდა ის თავის ცხოვრებასაც. რა არის კლასი. ვინ დაჰყო, რად დაჰყო ხალხი კლასებად, ერთს რად აქვს ბევრი, სხვას სულ არაფერი, დღემდის გლებმა არა იცოდა რა. დღემდის მას ეგონა, რომ ვისაც ბევრი აქვს,— აქვს იმიტომ, რომ თავის ოფლით შეიძინა, იყიდა, ისე როგორც ის ერთი ან ორი დღის მიწას, ხარსა ან ცხენს იყიდის და შეიძენს ხოლმე. დღემდის გლებს თავადი და თავისთავი ერთი და იგივე ქმნილება არ ეგონა. მას თავადი სხვა ეგონა თავის თავი სხვა, როგორც მაგალითად მგელი სხვაა და ცხვარი—სხვა.

დღეს მას თვალები აუხილეს, თუ თავისთავად აებილა, გარშემო მიმოიხედა და ყველაფერი ცხადად დაინახა. დაინახა უსამართლობა, დაინახა თვალთ მტერი, უსამართლობის მიზეზი და დაიწყო კლასობრივი ბრძოლა.

ამ ბრძოლამ მიიღო სტიქიური ხასიათი. როდესაც ადამიანი მიაგნებს იმ საგანს, რომელიც სწავრავდა მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, წლობით აწვა გულზე მაჯლა-ჯუნასავით, როდესაც ვაიგებს, რა ართმევდა მას საზრდოს, ნაოფლარს, ნამუშევარს და მის შვილებს მშვიერს სტოვებდა და როდესაც დაინახავს თვალთ, რომ ეს საგანი სულიერია, რომელიც მას შეუძლიან ხელთ იგდოს, ხელი შეახოს, საკვირველი არაა, რომ ამ საგანს ხეის არ დააყრის. ეს არის კანონი ადამიანის სულის მოძრაობისა. ამას თხოულობს წლობით ნაგროვი ბოდმა, შხამი, რომელიც აწუხებს და შეეხება არ აძლევს ადამიანს. გლების მოძრაობაც ამიტომ ჯერ-ჯერობით სტიქიურია. აქაც და რუსეთშიაც გლები სჩხენ ტყეებს, ძალით თვისებენ მიწებს, ანადგურებენ რუსეთში „ეკონომიებს“, აქ მემამულეთა სახლ-კარს. იქაც და აქაც ბრძოლაა ეკონომიურ ნიადაგზე. მაგრამ აქ, ჩვენში ამ სტიქიურ ბრძოლას გლები სხვა რამესაც ართავს ზედ,— ხშირად ისვრის ხელებს თავად-აზნაურთა სისხლში.

აი ეს მიზეზია გამოსაკვლევი და შესასწავლი.

გლები რუსეთში ნაკლებ არ იჩაგრება, ვიდრე ჩვენში, მიწის სიფრთვე იქაც დღია, გლები იქაც გაღარიბებულია, გაყვლეფილია. რუსის თავადი მდიდარია ადგილ-მამულით. ჰყავს აუარებელი მოურავები, „პრიკასნიკები“ და ტყისა და ველის მცველები, რომელნიც გლებებს სიცოცხლეს უმწარებენ. ამას გარდა რუსეთში მემამულეები მეურნეობას მის-

დევნ. არიან გამართულნი ხარით, ცხენით, სხვა დასახლებულნი ქანებით: თვითონ ხენენ, სთესვენ, ჰყავთ ცხენებსა და ცხვრებს, ცხვრის ფარები. ერთის სიტყვით ეწევიან საკუთარ სამეურნეო წარმოებას, რაც ჰელუპავს გლებს, როგორც წვირილ მრეწველს, როგორც მუშას და როგორც მეზობელს. როგორც მეზობელი, ის ევრ ასცდება მემამულის მიწა-ადგილს. ყოველთვის აქვს მას მათთან ახგარიში გასასწორებელი. ან ხარი, ან თვის მოსტოვს მემამულის თივას, ან ყანას, ან ღობეს გაუფუჭებს, ან სხვა ზარალს მიაყენებს და ყოველ შემძლებელი მოურავი დღითი დღე ჰყვლეფავს ხალხს „შტრაფ“ებითა და სხვა ამ გვარ „არა პირდაპირი გარდასახადებით“.

მაგრამ იქ მემამულე სოფლად არ სცხოვრობს, ზოგიერთი მემამულეს თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ დაუვლია თავისი მამული. სოფლები ყოველწლივ იხდიან ათას გვარ გარდასახადებს მემამულის სასარგებლოდ, ყოველ-კუთხეში, ყოველ წამს ესმით მისი სახელი, იბადებიან, კვდებიან და მემამულის სახე ერთხელაც არ უნახავთ. იციან მხოლოდ, რომ ისინი დგანან და მუშაობენ ამა და ამ თავადის მამულზე, რომ ამ თავადს ჰყავს მრავალი მოურავი, ტყისა და ველის მცველები. რომ ის ყოველად შემძლებელია, ცხოვრობს საღვალად შორს, რომ თვით გუბერნატორსაც კი ეშინიან მისი და ყოველ წლივ უგროვებენ და უგზავნიან მას აუარებელს ფულს, რომელიც, მათი მოურავების სიტყვით, მათ ბატონს „ერთ საუზმეზედაც არა ჰყოფნის“.

იქ გლები იცნობს მხოლოდ ამ მოურავებს, გლებს მხოლოდ მათთან აქვს საქმე და ქირიცი და დაღბენაც მას მათგანა აქვს. თუ მოურავები ცუდი ხალხია, ჰყვლეფავენ და ავიწროვებენ ხალხს. გლები ამ გარემოებას მოურავის ცუდ-კაცობას აწერს. მას ჰგონია, რომ თავადი აქ არაფერს შუაშია, რომ იმან არ იცის მოურავის ბოროტ-მოქმედებანი, თორემ დაითხოვდა და კარგს დანიშნავდა. სწორედ ისე, როგორც დღემდის ხალხმა არ იცოდა, ხელქვეითთა მოქმედებაში ხელმწიფებს ბრალი აქვს რამე, თუ არა.

ჩვენში სულ სხვაა. აქ მემამულე სოფელში ცხოვრობს. მუდამ გლებებში ტრიალებს. ის იცნობს თითქმის ყველა თავის მამულში მცხოვრებ გლებს და ყველა გლებიც მას იცნობს. აქ, ჩვენში გლები და მემამულე მეზობლები არიან, ხშირად ხედებიან ერთმანეთს და გლებიც ცხადად ხედავენ ყოველ შევიწროებას, რომელიც მას ჰხედება მემამულის მხრივ. ამიტომაც აქ მეტი ნიადაგი აქვს კლასიურ ბრძოლის გაღვივებას.

ცხოვრების განვითარებამ ჯერ კიდევ ვერ გასთქვიფა ერთმანეთში წოდებანი და ვერ მოსპო მათში წოდებრივი შეხედულებანი. ბატონ-ყმობა ჩვენში კარგა ხანია რაც გადავარდა, მაგრამ ამ უბედურობის დღი ჯერ კიდევ ამჩნევია ჩვენს თავადსა და გლებს. მისი ზეგავლენა ჯერაც არ გამქრალა, მისი სუნი ჯერაც ტრიალებს.

როდესაც ბატონ-ყმობა გადავარდა, ერთ სოფელში მივიდა დიანბეგი და გამოუცხადა ხალხს: ამას იქით თქვენ ყმები აღარა ხართ, თავისუფლები ხართ და თავად-აზნაურობასთან აღარავითარი დამოკიდებულება აღარ გექნებათო. ერთი მოხუცებული გლები წარსდგა წინ და დიანბეგს მოახსენა: ბატონო, ერთი ეს მიბრძანეთ: ამას იქით ჰატონა რომ შემხედეს საღმე, ქული მოუხადო ხოლმე, თუ არაო. მაშინ ამ სიტყვებმა ხალხში სიცილი გამოიწვია და ის გლები ტუტუტად ჩასთვალეს, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ მისი სიტყვები საფუძვლიანი და აზრიანი იყო.



ბატონ-ყმობა გადავარდა. გადავარდა მხოლოდ უმცირესი კრება-ტყევა დაუსჯელად და მათი გაყიდვ-გამოყიდვა. დანარჩენი მისი თვისებანი ისევ ისე დარჩა. თავადი მაინც ისევ ბატონად გრძნობს თავს,—გლახი ყმადა. ისევ ის „ქულის მოხდა“, ისევ ის „ბატონა“, ისევ ის „შენი მუხლის ქირამე“, „დაბრძანდი“, „მიირთვი“, „გეახლები“, „ნუ გამირისხდები“ და სხვა ამ გვარი „თავაზიანი“ ლაპარაკი ხოლმე თავადსა და გლახს შორის. ქართულ სიმღერაში გლახს დღესაც ვერ გადაუგდია სიტყვები: „ბატონის იალაღი ვარ, მტერსაც არ შევეუშინდები“, ან „ღმერთო გვიცოცხლე ბატონი“ და სხვა.

**შეგობარა**

(შემდგომი იქნება)

**პატარა შინაგანი**

ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ საკითხს თან და თან სერიოზული ხასიათი ეძლევა. ქართველმა სამღვდელეობამ მართლა გადასწყვიტა საეკლესიო თავისუფლების მოპოვება, მაგრამ მეორე მხრით რუსეთის სინოდსა და მთავრობასაც გადაწყვეტილი აქვს ქართულ ეკლესიას არაფერი დაუთმოს. რამდენიმე დღის წინად სინოდმა შესაფერი დემონსტრაცია მოახდინა: საქართველოს ეგზარხოსი ნიკოლოზი დაითხოვა და იმის მაგივრად ახალი ეგზარხოსი ნიკონი დანიშნა.

ამავე დროს კავკასიის ნამესტნიკმაც გამოსთქვა თავისი აზრი და განაცხადა, რომ ქართულ ეკლესიის განთავისუფლებას მხარს ვერ დავუჭერ, რადგან მას მოწინააღმდეგენიც ჰყვანანო. ვინ არიან ეს მოწინააღმდეგენი? რუსი „პატრიოტები“, გოროდცევი და ძმანი მისნი, რომელთაც ძალიან სთბილათ საქართველოში. მაგრამ ერთი ვკითხოთ: რა უფლება აქვს მთავრობას თითქმის ორ მილიონ ადამიანის ინტერესები შესწიროს ერთ მუქა „პატრიოტებს“? ან სად და როდის მომხდარა ისეთი რეფორმა, რომელსაც მოწინააღმდეგე არა ჰყოლოდა? თუ ასეა, ნამესტნიკმა ერობის შემოღებაზედაც უარი უნდა განაცხადოს, რადგან იგივე „პატრიოტები“ ერობასაც ისევე ემტერებიან, როგორც ავტოკეფალიას და ავტონომიას.

ნამესტნიკს ჩვენებურ რუს „პატრიოტების“ გარდა ბევრი ქართველიც დაუჭერს მხარს! როგორც მოგვსენებათ, არიან ჩვენში ისეთი „რადიკალები“, რომელნიც ავტოკეფალიაზე ლაპარაკს გულგრილად ვერ მოისმენენ და მის გაგონებაზე მაშინვე ყურებში თითებს დაიცობენ. თუმცა არჩვენების დროს მღვდლებისა და მორწმუნეთა კენჭების საშოვნელად ისინი აცხადებდნენ, რომ სოც.-დემოკრატია ეკლესიასაც მფარველობას უწყევსო, მაგრამ სხვა დროს ისინი მზად არიან მასხარად აიგდონ და კლერიკალიზმის ბოძზე გააკრან ყველა, განურჩევლად მიმართულებისა, ვინც ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას ემხრობა. ყოველი სოციალისტი დაუძინებელი მტერი უნდა იყოს კლერიკალიზმისა, მაგრამ როცა ვხედავთ, რომ ერთი ხელის დაკვრით შეუძლებელია ეკლესიის მოსპობა, როცა ვხედავთ, რომ რუსეთის მთავრობა და სინოდი ანაფორაში ეხვევიან და ეკლესიის დახმარებით სხვა ერების გარუსებას ცდილობენ, როცა ვხედავთ, რომ ეკლესია მათ ხელში მძლავრი და ბოროტი იარაღია თავიანთ საზიზღარ პოლიტიკის განსახორციელებლად, ჩვენ პროტესტი უნდა განვაცხადოთ ანაფორაში გამოწყობილ რუსიფიკატორების წინა-

აღმდეგ და ვეცადოთ ეს იარაღი მათ მოგვსპობოთ. ეს მოწინააღმდეგეები უმარტივებია, მაგრამ რას იზამთ, რომ ესლა მუღლად-ტურქობეს დაწერაა საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ ორჯერ ორი ოთხია.

განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქართველმა სამღვდელეობამ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა თავის მხრით. ვერავინ უსაყვედურებს ქართველ სამღვდელეობებს უკან ჩამორჩენას, რეაქციონერობას და გადაჭარბებულ კლერიკალიზმს. ყველას გვახსოვს შარშანდელი ისტორია ტფილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ქართველ სამღვდელეობებს საქმითაც კი მიაყენეს შეურაცხყოფა, გვახსოვს ეპისკოპოსების ლეონდის და კირონის დემონსტრაციულად დასწრება შმიდტის პანაშვიდზე, გვახსოვს ქართველ მღვდლების დაპატიმრება და შორეულ ადგილებში გადასახლება; გვახსოვს ყოველივე ეს და თამამად ვამბობთ, რომ მათ სამართლიანად დაიმსახურეს მთელი რუსეთის მოწინავე პრესისა და საზოგადოების ყურადღება. მხოლოდ ჩვენ ვდგევართ განზე და გულხელდაკრეფილი შეგუქებით ბრძოლის ველზე მარტოდ დარჩენილ სამღვდელეობას. ახალ ეგზარხოსის დანიშვნის გამო ქართველმა სამღვდელეობამ ერთხმად გადასწყვიტა ყოველივე კავშირი შესწყვიტოს სინოდთან და ბოიკოტი გამოუცხადოს ეგზარხოსს. ეს არის რევოლუციონერული გადაწყვეტილება, ეს არის პასიური პროტესტი ანაფორაში გამოწყობილ ენდარმერის წინააღმდეგ. მაგრამ რის, ან ვის იმედი აქვს ჩვენს სამღვდელეობას? ხალხისა? ხალხი ჩუმიდ არის. რევოლუციონერ პარტიებისა, რომელნიც მოვალენი არიან ყოველ ოპოზიციონერ აქტს მხარი დაუჭირონ? პარტიები მათ ყურადღებას არ აქცევენ და ხშირად მასხარადაც იღებენ. ინტელიგენციისა? მაგრამ რა შეუძლიან ჩვენს დამონაგებულს, ლაჩარს და მოთმინებით გაჟღენთილ ინტელიგენციას? საკვირველია, გასაოცარია ერთი მოვლენა: როცა მთავრობა სომხების ეკლესიას შეეხრა და ქონება ჩამოართვა, ჩვენ სომხებზე მეტს ეყვიროდით მთავრობის ვერაგობაზე, უსამართლობაზე და ძალმომრეობაზე; როცა იმავე მთავრობამ ხელი აიღო იმავე მამულებზე და სომხების სამართლიანი მოთხოვნილება დაკმაყოფილა, ჩვენ სომხებზე მეტად გვიხაროდა სამართლიანობის პრინციპის გამარჯვება. მაგრამ როცა საქმე ჩვენზე მოდდა და საჭირო გახდა საკუთარ უფლებების დაცვა, ჩვენ გულხელი დავიკრიბეთ, განზე გავდექით და მასხარად ავიგდეთ მღვდლები, რომელთაც გაბედეს და თავიანთ უფლებების დაბრუნება მოითხოვეს!

დღეს თუ ხვალ ქართველი სამღვდელეობა თავის გადაწყვეტილების შესრულებას შეუდგება და ჩვენ მოვალენი ვართ, მორალური დახმარება გავუწიოთ მას.

\* \*

ავტოკეფალიას, ავტონომიას და სიტყვა „საქართველოს“ მარტო მთავრობა და „პატრიოტები“ არ ემტერებიან. ავტონომიისა და ავტოკეფალიის საკითხი ხმის უმეტესობით რომ გადაწყდებოდეს, გამარჯვება „პატრიოტებს“ დარჩებოდა, რადგან მათთან ერთად ორივე საკითხს შავ კენჭს ჩაუდებდნენ ჩვენებური სოც.-დემოკრატები.

სახელმწიფო სათათბიროში „ჩვენმა“ დეპუტატმა ის რამიშვილმა უკვე გახლათ განუყოფელ რუსეთის საღვდელეო და თავისი თავი მთელ რუსეთის ხალხის წარმომადგენლად გამოაცხადა. ცხადია, რომ რამიშვილს აქ პატარა შეცდომა მოუვიდა. ის თავის თავს მთელ რუსეთის ხალხის წარმომადგენლად სთვლის და არა ქუთაისის გუბერნიისა ან საქართველოს წარმომადგენლად. ამას „ლაპარაკი“ ამოწმებს.



რუსეთის ბიუროკრატის თამამად შეუძლიან სთქვას, რომ იგი მარტო არ არის, რომ მარტო იგი. არ უარყოფდა ეროვნებას, პოლონეთს, საქართველოს და ფინლიანდიას. მას მძლავრი მომხრე ჰყავს. „ლამპარის“ სიტყვით, რამიშვილი „მთელი რუსეთის ხალხის სახელით ლაპარაკობს, მთელი ამ ხალხის წარმომადგენლად გამოდის“, ხოლო ი. ბარათაშვილი, კი „ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობს, ის მთელ კავკასიის წარმომადგენლადაც კი არ აცნობს თავს დუმას, არამედ როგორც საქართველოს წარმომადგენელი“. მართლა, ვისი ან რის წარმომადგენლები არიან ბარათაშვილი, რამიშვილი ჟორდანია, წერეთელი, გომართელი და ჯაფარიძე: ქართველებსა, საქართველოსი, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებისა, კავკასიისა თუ მთელი რუსეთის ხალხისა? რუსეთის ბიუროკრატის სიტყვით, ისინი კავკასიის წარმომადგენელი არიან. ამის წინააღმდეგ არც ჩვენებური სოც.-დემოკრატები არიან, თუმცა კი ისევ იმას არჩევენ, რომ რამიშვილი მთელი რუსეთის ხალხის წარმომადგენელი იყოს. ესლა ვკითხობ ჩვენს ბრძენ სოც.-დემოკრატებს: როგორ ჰგონიათ, პოლონეთიდან რომ სოც.-დემოკრატები აერჩიათ ვის წარმომადგენლად დასახვდენ მთ პოლონეთის სოც.-დემოკრატები: მთელი რუსეთისა, თუ პოლონეთის პარლემენტარიატისა? როგორ მოიქცეოდნენ ამ შემთხვევაში ფინლიანდიისა, მოლოროსიისა და ლიტვის სოც.-დემოკრატები? აქ ორნაირი პასუხი შეუძლებელია. ამასთან ერთი რამე კიდევ უნდა ვკითხოთ „ლამპარის“ პუბლიცისტებს: არსებობს თუ არა პოლონეთი, მლოროსია, ლიტვა და ფინლიანდია? არსებობს თუ არა საქართველო? თუ პოლონეთი არ არსებობს და მის მაგივრად არის მხოლოდ ათი გუბერნია, მაშინ არც საქართველო არსებობს და მის მაგივრად არის მხოლოდ ორი გუბერნია და სამი ოლქი ბიუროკრატია და „მოსკ. ვედ.“ ყოველთვის იმეორებენ, რომ არის მხოლოდ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები და არ არის არავითარი საქართველო; ამასვე იმეორებენ ჩვენებური სოც. დემოკრატები. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა შუაშია აქ კავკასია, — საადმინისტრაციო ტერიტორია? ერთ-ერთი უნდა იყოს: ან განუყოფელი ადმინისტრაციული რუსეთი, რომელიც შესდგება მარტო გუბერნიებისგან, ან გეოგრაფიული ოლქები (ციმბირი, კავკასია და სხ.); ან ისტორიული ერთეულები (პოლონეთი, საქართველო, ფინლიანდია და სხ.). მაგრამ რა მოეთხოვება უთავბოლო „ლამპარს“, რომელსაც ყველაფერი დომხალივით აერია: ისტორია, გეოგრაფია, ადმინისტრაცია. სოც.-დემოკრატებმა ოღონდ საქართველოს სახელი არ ახსენონ და ხაჩატუროვის „ტფ. ფურცლის“ კიცხვა არ დაიხსახურონ და — ყველაფერს სიამოვნებით აურევენ ერთმანეთში.

მაგრამ დახეთ მოღალატე ჯაფარიძესა და გომართელს! ერთი კვირაა, რაც პეტერბურგში ავიდნენ, და ამ ერთ კვირაში ბარემ ასჯერ ახსენეს სიტყვა „საქართველო“! ვურჩევ გაზეთ „ლამპარს“ მოღალატე გომართელსა და ჯაფარიძესაც ისე მოექცეს, როგორც „მუშის“ რედაქციას მოექცა: მოაგროვოს რამდენიმე ათასი გვარი და მოსთხოვოს ჩვენს დებუტატებს სიტყვა „საქართველო“ გამოსცვალონ ან ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაზე, ან კავკასიაზე, ან მთელ რუსეთზე, თორემ ვაი თუ ჩვენებურმა სოც.-დემოკრატებმაც დაიხსომონ ეს სიტყვა და თავიანთ ლექსიკონში შეიტანონ!

\* \*

ჩვენმა დებუტატებმა სათათბიროში თავიანთი დებიუტი დიდის ხმაურობით დაიწყეს. ხუთმა თუ ექვსმა კაცმა ისეთი მნიშვნელობა იქონია სათათბიროს ძალთა განწყობილების

არეგ-დარევაში და ისეთი აყალ-მაცალი ასტეხა სათათბიროში და რუსეთის პრესაშიაც, რომ კაცს ეგონებოდა, მათთან ერთად მართლა დიდი ძალა დატრიალებულაო. რუსეთის პატრიოტულმა პრესამ „ნოვოე ვრემის“ მეთაურობით მთელი ალიაქოთი ასტეხა ქართველ დებუტატების დებიუტის გამო და მთელ რუსეთს მოუწოდა, არიქა, ვიღუპებით და გვიშველეთო. ის, რამიშვილის პირველ სიტყვას „ნოვოე ვრემის“ მოლაყებ მენშიკოვმა უშველებელი წერილი უძღვნა, რომელიც საესე იყო ასეთ სიტყვებით: ველური, ბარბაროსი, გაუზრდელი, გაუნათლებელი, ხებრა, კანდიერი აზიატი და სხვ. მეორე დღეს იმავე მენშიკოვმა იმავე რამიშვილს შეზავებული ფელეტონი გამოუცხა. მესამე, მეოთხე და მეხუთე დღესაც ყოველ ნაბიჯზე ჰქებნდა ჩვენს დებუტატებს და ბოლოს ასეთ დასკვნამდე მივიდა: „ინოროდცებს“ უფლება არა აქვთ რუსეთის საქმეებში ჩაერიონ, ამიტომ თუ მათი დებუტატები ხმას არ ჩაიკმენდენ და ტალახში ამოცვირან რუსეთის მთავრობას, ჩვენ იძულებული ვიქნებით „ინოროდცებს“ საარჩევნო უფლება წავართვათო. მენშიკოვი იმასაც კი ცდილობდა, რომ ასეთი საქციელი იურიდიულად და ისტორიულად დაესაბუთებინა და მგაგლითაღ მოიყვანა ინდოეთი, ალჟირი და სხვა კოლონიები, რომელნიც მონაწილეობას არ იღებენ ინგლისისა და საფრანგეთის პარლამენტებშიო. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ მენშიკოვს და ძმთა მისთა გულით სურთ ამიერ-კავკასია და ზოგერთი განაპირა ქვეყნები კოლონიებად გამოაცხადონ და გენ. გუბერნატორებს მისცენ შესაქმელად. რა თქმა უნდა, ისტორიის ასეთი დაბრუნება შეუძლებელია, მაგრამ საქმე ამაში არ არის. გადაავლეთ თვალი მთელი რუსეთის პატრიოტულ პრესას, გადაავლეთ თვალი ჩვენებურ „კავკასსა“ და „გოლოს კავკასას“ და დაინახავთ, რომ ქართველებმა და სომხებმა ამ პრესის თვალში როლები გამოიკვალეს. უწინ რუსი „პატრიოტები“ ქართველებს თავზე ხელს უსვამდნენ და აქებდნენ, სომხებს კი სიცოცხლეს უმწარებდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ესლა კი, პირიქით, სომხებზე ხმა ჩაიკმინდეს და ქართველები გაიგდეს წინ. რას უნდა მივაწეროთ ეს ცვლილება? ნუ თუ იმას, რომ ჩვენც შევიცვალეთ და სახიფათო გავხდით რუსეთის მთავრობისთვის და პატრიოტებისთვის? მთავრობისთვის სახიფათო ვართ, როგორც რევოლუციონურად განწყობილი ვართ, მაგრამ სახიფათო ვართ თუ არა მისთვის და პატრიოტებისთვის, როგორც ეროვნება, რომელსაც მომავალი აქვს და რომელიც სახიფათო მტერი იქნება „პატრიოტების“ საიდელლო განუყოფელ რუსეთისა? მე მგონია, ჩვენ ორივე მხრით ვართ სახიფათო, ანუ უკეთ როგვთქვა, მე მიწნდა, რომ ორივე მხრით ვიყოთ სახიფათო. ჯერ ჯერობით კი ჩვენ მხოლოდ სუსტად ვკენისით და პაერში ხელებს ვაფათურებთ. ქათამს რომ თავს მოსჭრიან, ისიც კი იწყებს ფართხალს, ჩვენ კი ყვირილსა და ფათხალსაც ვერ გვებდავთ და მხოლოდ გავიძახით: გაუმარჯოს განუყოფელ რუსეთსო!

რას იზამ? ზოგის რკინის თავს ვერაფრით დაარწმუნებ, რომ ეკონომიურ მონობის გარდა არსებობს გონებრივი და სულიერი მონობა.

დემოკრატია და პარტია

რუსეთის ახლანდელ რევოლუციას სარჩულად უდგეს დემოკრატიული მისწრაფება, — დემოკრატიული და არა სოცია-



ალ-დემოკრატიული. მართალია, სოციალ-დემოკრატიული პარტია ცდილობს ვიწრო კლასისურ კალაპოტში ჩააყენოს ეს მოძრაობა, და ეკონომიურად განვითარებულ ქალაქებსა თუ მიყრუებულ სოფლებში პროლეტარების გაერთიანების საქმეებსა და დაგებას, მაგრამ, რაკი ახლანდელ რევოლუციის ბედის გადამწყვეტია გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია. ამიტომ ბოლოს ამ პარტიამაც თან და თან თავი დაანება თავის ვიწრო კლასისურ ბრძოლას და თავისი ტაქტიკა შეუფარდა ხალხის უმეტესობის სურვილებს, სოციალ-დემოკრატიამ დემოკრატიზაცია დაიწყო.

ტაქტიკის ასეთი შეცვლა ხსენებულ პარტიისთვის აუცილებელი გამოდგა, რადგანაც სხვა სოციალისტური პარტია, ე. წ. რევოლუციონერები, — რომელიც მიმართავდა არა რომელიმე კლასს, როგორც განყენებულ ცნებას, არამედ სხალხის მშრომელ უმეტესობას, — რომელიც ამ უმეტესობის ინტერესთა დამცველად გამოდიოდა, — სოციალ-დემოკრატიებზე უფრო ძლიერი და გავლენიანი გამოდგა. მართალია, პირველის შეხედვით სოციალ-დემოკრატების გავლენა უფრო შესაძნელებელი იყო, ქალაქ—ადგილას მცხოვრები ხალხი ისევ ქალაქის ცხოვრებას უფრო უკვირდება, მართალია, დეკემბერში სოციალ-დემოკრატებმა პოლიტიკურ მოძრაობაში გაბატონებას კი მოისურვეს, მაგრამ ეს ძლიერება გარეგანი გამოდგა, რადგანაც პარტია ბოლოს იძულებული გახდა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგესი ძლიერება ეცნო, ეცნო, რომ რუსეთის რევოლუციაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სოფელს და არა ქალაქს, გლეხს და არა ქალაქის მუშას, ხალხის მშრომელ უმეტესობას და არა პროლეტარიატს, დემოკრატიას და არა სოციალ-დემოკრატიას.

შეიძლება პარტიამ იუაროს ასეთი ცვლილება და სხვა და სხვა „ტაქტიკურ მოსაზრებით“ ახსნას ის, რასაც ჩვენ სოციალ-დემოკრატიის ზნეობრივ დამარცხებას და დემოკრატიის ზნეობრივსავე გამარჯვებას ვუწოდებთ, მაგრამ ჩვენთვის სულ ერთია, რა მოსაზრებით მიეკედლა სოციალ დემოკრატია ხალხის „მშრომელ უმეტესობას“, — არის ეს პოლიტიკური ოანი, პარტიის მიმდევართა რიცხვის წასამატებლად განზრახული, თუ პარტიის მეთაურები დარწმუნდნენ, რომ რუსეთი ჯერ ეკონომიურად განვითარებული არ არის და ქალაქის მუშას და ნამდვილ პროლეტარიატს არც დიქტატურა და არც რევოლუციის მეთაურობა არ შეუძლია, — ეს სულ ერთია. საგულისხმაოა მხოლოდ, რომ ეხლანდელ რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიამ გლეხობას დაუთმო პირველობა, და რომ მან სცნო „მშრომელ უმეტესობის“ ინტერესები, ე. ი. რომ სოციალ-დემოკრატიამ რუსეთში კლასთა ბრძოლაზე ლაპარაკი დროებით თუ არ მოსპო, შეამკირა მაინც იგი და სხვა და სხვა კლასის ინტერესების ჰარმონია აღიარა.

ჩვენში? ჩვენში სოციალ-დემოკრატებს რომ უთხარათ, თქვენ დღეს დემოკრატები ხართ და არა სოციალ-დემოკრატებიო, იწყენენ და გამოაცხადებენ, „დემოკრატია ჩვენი უდიდესი მტერი არისო“, და თუ უჩვენეთ და დაუმტკიცეთ, რომ თავის შემადგენლობით იგი „პროლეტარული“ არ არის და როგორც „არა პროლეტარული“, ნამდვილ პროლეტარულს, კლასისურ პოლიტიკას ვერ დაადგება, თუ უთხარით, რომ მათ პარტიაში უმეტეს ნაწილად და თითქმის საესებით წვრილი ბურჟუაზიული ელემენტებია შესული, რომ იგი ამიტომ ძალა-უნებურად აღდება ან დაადგება „მშრომელ უმეტესობის“ წინამძღოლობას, — პარტიის მეთაურები სიტყვის ბანზე ავდებით. ეცდებიან პარტიის „დემოკრატიზაცია“ ჩააფუჩქონ და

თავიანთი თავი ნამდვილ კლასისურ პოლიტიკის გამო-მხატველად გამოიყვანონ. მაგრამ იმათ სურვილია — ქმის ნამდვილი ვითარება არ შეიცვლება და დღეს ცხადია, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას თუ ასეთი ძლიერება და გავლენა აქვს მოპოვებული, მხოლოდ იმიტომ რომ იგი პროლეტარების ქომავობასთან ერთად არ იფიწყებდა ქალაქის წვრილ ბურჟუაზიის ქომავობასაც, რომ იგი ვაჭრებისთვისაც სცემდა პრაკლამაციებს და, მაგ., ითხოვდა რომ დუქნის პატრონს მედუქნეებისთვის ქირა მხოლოდ თვის დამლევს გამოერთმია; პარტია გლეხობაში მიდიოდა და იქ ნამდვილ დემოკრატიულ იდეებს ავრცელებდა, — უმაღლესად მათ თავას პროგრამის ზოგიერთ მუხლს როგორც არის, მაგ., პროლეტარიატის ან ამ ცნებას ისე უხსნიდა ხალხს, რომ ზოგიერთი მამულის პატრონი გლეხი ნატრობდა, „ნეტცივი პროლეტარი ვიყო, — ყველაფერი საქარისად მექნება, საკუთარი მიწა, სახლი, ქონება და სხვაო“...

ან როგორ შეიძლებაო ჩვენში, სადაც მრეწველობა უფრო ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე რუსეთში, ნამდვილი კლასისური, პროლეტარული ტაქტიკა, როდესაც რუსეთშიც სოციალ-დემოკრატიული პარტია ბოლოს „მშრომელ უმეტესობას“ დამცველი შეიქმნა? ჩვენს სოციალ-დემოკრატია ხომ სრულიად რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიის ხელქვეითია, და თუ მთელ რუსეთში პარტიამ ბოლოს სოციალ-დემოკრატიზაცია თავი დაანება და დემოკრატიზაცია დაიწყო, ასეთივე ცვლილება უთუოდ დაეტყობოდა პარტიას ჩვენშიც. და თუ ჩვენ ამ ცვლილებას ასე აშკარად ვერ ვხედავთ, იმიტომ, რომ ჩვენში პარტიას ხსენებული ცვლილება უფრო ადრე დაეტყო, მაშინ, როდესაც მან თავის პროკლამაციებით, ქარხნის მუშებთან ერთად, ქომავობა დაუწყაო სხვა კლასის წარმომადგენლებს და თვით ვაჭრებსაც.

და თუ სოციალ-დემოკრატიული პარტია ჩვენში ჯერ-ჯერობით დემოკრატიზაცია ვერ ასცილებია, მით უფრო ითქმის ეს ფედერალისტების პარტიაზე, რომელიც, რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერებსავე, იმ თავითვე „მშრომელ უმეტესობის“ წარმომადგენლად გამოდიოდა.

დემოკრატია, როგორც ხალხის უმეტესობის წარმომადგენელი და სახელმწიფოში თანასწორობის დამაყარებელი პოლიტიკური მოძღვრება, პირველად იქმნა წამოყენებული მაშინ, როდესაც ხალხმა შეგნებული ბრძოლა დაუწყაო, ერთის მხრივ, თვითპროლეტარობას და, მეორეს მხრივ, ყოველივე უთანასწორობის შემქმნელ ცხოვრების პირობებს. ყველა აღმამიანი თანასწორ პირობებში უნდა იბადებოდეს, იზრდებოდეს და ცხოვრობდეს, უნდა მოისპოს ყოველი წოდებრივი ან ქონებრივი პრივილეგია და უპირატესობა.

მაგრამ თანასწორობა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ წყობილების შეცვლა საზოგადოებას თავის თავად სრულ ბედნიერებას ვერ მიანიჭებს. ყოველ უფლებას გამოყენება სჭირია, ერთი და იგივე კანონი სხვა და სხვა კაცის ხელში ერთნაირ ნაყოფს არ გამოიღებს. რა მნიშვნელობა აქვს კანონების, თუნდ კარგ კანონებისაც ქაღალდზე ჩამოწერას, თუ ხალხში და თვით ამ კანონების აღმასრულებლებში ხსენებულ კანონის პატივისცემა არ იქმნა? რა მნიშვნელობა აქვს, მაგ., ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგებისთვის პოლიტიკურ თანასწორობის გამოცხადებას, როდესაც ფაქტიურად თეთრკანიან ამერიკელები შავ-ზანგებს ამ თანასწორობის განხორციელების არ ანებებენ? თუ სასამართლოც იქ თეთრკანიანების



ხელშია და ამიტომ ზანგებს თავიანთ პოლიტიკურ უფლებათა დარღვევაზე საჩივრის აღძვრაც არ შეუძლია! რა მნიშვნელობა აქვს ავსტრიაში ენათა თანასწორობის აღიარებას, როდესაც არც ერთი ეროვნება იქ ამ კანონს არ ემორჩილება და ძალით ცდილობს თავის ეგოისტურ სურვილების განხორციელებას? ან რად უნდა სერბიას დემოკრატიული წყობილება, თუ იქ ამ უფლებას ხალხის მეთაური დემოგოგები გამოიყენებენ მხოლოდ ხალხის დასაბეჭავებლად და მის სახელით ყოველივე ავანაჯობისა და ძაღომორების ჩასადენად?

იმისთვის, რომ დემოკრატიულმა რეფორმამ ხალხისთვის სასიკეთო ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა ხალხის აღზრდა, ხალხის მომზადება.

იქ, სადაც თვითპყრობელობა არის გამეფებული, ხალხს მხოლოდ სხვა და სხვა ტენიკური ცოდნა მოეთხოვება, დურგლობა, მემანქანობა, ვეჟილობა, ექიმობა და სხვა. საზოგადოების, ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრი და ზრუნვაც შევადგენს მთავრობის პრივილეგიას.

დემოკრატიულ სახელმწიფოში კი ყველა ადამიანი რამე მონაწილეობას იღებს საზოგადო საქმეების მართვასა და გამგეობაში. ზოგი დეპუტატს ირჩევს, ზოგი დეპუტატად ირჩევა, ზოგი შედის რამე კომისიის ან კავშირის წევრად, მიტინგებზე გამოდის სალაპარაკოდ ან მიტინგზე მოლაპარაკეობს. ტარს უსმენს. როგორც სალაპარაკოდ, ისე მოლაპარაკესი მოსასმენად მომზადება საჭიროა, რადგანაც ყველამ უნდა იცოდეს ვაგონილის აწონ-დაწონა და დაფასება

ამიტომ ყოველი ნამდვილი დემოკრატი, ე. ი. ხალხის გაბატონების და საერთო თანასწორობის მომხრე, უნდა ცდილობდეს ხალხში კრიტიკული მსჯელობა აღზარდოს და მოსპოს მასში ყოველი ცრუ-მორწმუნოება, ბრმა რწმენა და სექტანტობა.

ამ მხრივ არა-დემოკრატიულად იქცევიან ჩვენებური სოციალ-დემოკრატები, რომელნიც აცხადებენ, „დემოკრატია ჩვენი უდიდესი მტერი არისო“. მართლაც, მათთვის, პარტიის მეთაურთა და იდეოლოგებისთვის, დემოკრატის გაძლიერება საშიშია, რადგანაც დემოკრატის გაძლიერებას თან მოჰყვება პარტიის მეთაურთა ახლანდელ ბატონობის მოსპობა. რომ ამ მეთაურთა ქადაგებასა და ნამოქმედარში მრავალი არსებითი შეცდომა არის, ამას ისინი უარყოფენ, მაგრამ ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის ვარემიება, რომ პარტია იძულებული შეიქნა ზოგიერთ ძირითად საკითხში თავისი წინანდელი პოზიცია გამოეცვალა და მიეღო ის პოზიცია, რომელსაც წინეთ თვით ეს მეთაურები სხვას უწუნებდნენ და ხალხისთვის მავნებლად აცხადებდნენ. ამას ამტკიცებს პარტიის „მეუმრავლესეთა“ და „მეუმცირესეთა“ კამათი, ამტკიცებს აგრეთვე ის უბრალო ფაქტიც, რომ პარტიის „იდეოლოგები“ ხალხს არწმუნებენ, თქვენთვის ცენტრალისტურად მოწყობილი რუსეთი საჭირო არისო, თქვენთვის მავნებელია ავტონომია, ეროვნულ დაწავრის წინააღმდეგ ბრძოლა არ გაბედლოთ.

სოციალ-დემოკრატებს ხალხისთვის გულში სექტანტური გრძობები რომ არ ჩაენერგათ, აენსნათ თავიანთ ავარულ პროგრამის ნამდვილი ხასიათი ან ავტონომიის ნამდვილი მნიშვნელობა და ამ საკითხების გადაწყვეტა ხალხის თავისუფალ მსჯელობისთვის მიენდოთ, თქმა არ უნდა, რომ ხალხი სოციალ-დემოკრატ იდეოლოგების იდეალებს იმ თავითვე არ დაეთანხმებოდა და ავარულ საკითხში მაშინვე

მოითხოვდა იმას, რასაც ახლა სოციალ-დემოკრატები მას „ტაქტიკურ მოსაზრებით“ აწვდიან, და რომ ხალხში არაფერი არ შეიქნებოდა ავტონომიის და დეცენტრალიზაციის წინააღმდეგი, რადგანაც წარმოუდგენელია, კეუთა მყოფელი და შეგნებული ადამიანი ხელს იღებდეს თავისუფლებაზე, რომელსაც მას აწვდის ავტონომია, და ცენტრალისტურ სახელმწიფო წყობილების მოთხოვნით თვითონ თავისივე ხელით კისერზე ახალ მონობის უღელს იღებდეს.

მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა ჩვენში შეაჩვიეს ხალხი თავის აზრად მიიღოს ყველაფერი, რასაც მას სოციალ-დემოკრატი ავტორიტარი ჩაუწერს და განუხჯლად, აუწონ-დაუწონლად დაადგეს იმ ვხას, რომელსაც მას პარტიის მეთაურები ურჩევენ. ხალხში საკუთარი აზრი მოისპოა, გაბატონდა პარტიის აზრი, მოისპოა თავისუფალი მსჯელობა, მისი ადგილი დაიკირა პარტიის ბრძანებამ.


ხალხის გონებრივად განთავისუფლება პარტიულ სექტანტობისგან ყოველივე გულწრფელ დემოკრატისთვის ისეთ-სავე წმინდა მოვალეობას შეადგენს, როგორც ბრძოლა პოლიტიკურ მონობის მოსაპობად. გონებრივი მონობაც იგივე მონობა არის, გონებრივად სხვისგან დამონებული ადამიანი ვერასოდეს ვერ გამოიყენებს თავის პოლიტიკურ თავისუფლებას.

ხალხის გონებრივი განვითარება თავის თავად საერთო კეთილდღეობაზე მზრუნველ საზოგადოებას ვერ შევქმნის, — საამისოდ საჭიროა ზნეობრივი აღზრდაც, — საერთო კეთილდღეობის სურვილი, მომხრესი და თვით მოწინააღმდეგესი პარტიის ცემა, საკუთარ პასუხის მეგობრობის გრძობა, საქმეში მხნეობა, გამბეობა. ის საზოგადოება, სადაც ყველა მხოლოდ თავის თავზე ზრუნვით არის გატაცებული, სადაც ყველა მხოლოდ იმას ფიქრობს, თუ როგორ წაიმატოს შემოსავალი და თავისი ცხოვრება ტკბილად მოიწყოს, სადაც საამისოდ ადამიანი არავითარ საშუალებას არ ზოგავს და ყველას თავის მოსისხლე მტრად ისახავს, სადაც ხალხი უსაქმურობას ნატრობს და უსაქმურობას ეჩვევა, იქ ნამდვილი დემოკრატიული თანასწორობა საფიქრებელიც არ არის, იქ ყველა თავის გუნებაში პატარა ბიუროკრატ-თვითპყრობელია და ნამდვილ თვითპყრობელივით მხოლოდ სხვის დაწავრით ცდილობს თავის გაბატონებას... სადაც ადამიანი მტრულის თვლით უყურებს ყველას, ვინც მისი სრული თანამოაზრე არ არის, იქ საერთო მუშაობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. და, განა, ასე არ იქცეოდა ჩვენებური სოციალ-დემოკრატია, რომლის მეთაურები ყველა არა სოციალ-დემოკრატს პარტიის ან ადამიანის სახელსაც კი ფეხქვეშ სთელავდნენ და აცხადებდნენ, მხოლოდ „სოციალდემოკრატია“ არის პარტიისანი, მხოლოდ ჩვენი პარტია არის ხალხის ერთგული და მისი კეთილის მსურველიო! ისევე, როგორც სარწმუნოების საქმეში ყოველი ეკლესია იჩემებს ხალხის მხსნელის როლს და სხვა ეკლესიებს მოტყველებად სთვლის.

მხოლოდ გონებრივ განუვითარებლობით აიხსნება ის სასაცილო მოვლენა, რომელიც ჩვენებურ სოციალდემოკრატებში ხშირად შეგვხვდება; ქონებრივად და მისწრაფებით ბურჟუა, ამ პარტიის მრავალი წევრი, გაიძახის, — ძირს ბურჟუაზიაო!

და, მეორეს მხრივ, მხოლოდ ზნეობრივ მოუმზადებლობით და პარტიულ დაბრმავებით აიხსნება ის სამწუნარო მოვლენა, რომელიც ისევ ამ პარტიაში თავს იჩენს, — სიძულვი-





ლი და იმათი დაუნდობლობა, ვისაც პარტიის მეთაურთა შეუმცდარობა არა სწამს და ვინც ხალხის გასაზღვრებლად პარტიისგან არჩეულ ტაქტიკას არ ეთანხმება.

არ კმარა მიტინგებზე აღფრთოვანებულ სიტყვების წარმოთქმა, —სამღვედლოებაც აღფრთოვანებულად ქადაგებს და ხალხს თავისებურ ბედნიერებაზე უთითებს... არ კმარა „მოწმუნე“ პარტიის შექმნა, მოარწმუნე მრევლი ყველა ეკლესიაში არსებობს... არ კმარა პარტიის გაძლიერება, ძლიერი ეკლესიაც ყოფილა და ზოგან ახლაც ძლიერი არის... რწმუნის მაგიერად საქირთა შეგნება, შეგნებული მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება და თავისუფლება, ის, რაც ასე სძულს ეკლესიას, ის, რისიც ასე ეშინია სოციალ-დემოკრატიულ პარტიის იდეოლოგებს!..

„პარტიულ დისციპლინის“ გულისთვის ხალხში სექტანტურ გრძნობების ვაგრცელებით დემოკრატია არ დამყარდება ისევე, როგორც „სულის საცხონებლად“ ეკლესიის ხალხზე გაბატონება ვერ შექმნის თავისუფლებას.

ვინ უნდა დაარღვიოს ეს სექტანტობა? ვინ უნდა შექმნას სულით ძლიერი, გონება-გახსნილი ხალხი? ვინ უნდა მოამზადოს ამით ნიადაგი ხალხის ნამდვილ ბატონობისთვის და ძირი გაუთხაროს პარტიის ბოლოლათა გაბატონებას?

ეს საქმე შეიძლება იკისროს და შესრულოს მხოლოდ ნამდვილმა დემოკრატებმა, რომელიც ჯერ ცალკე პარტიად არ გამოსულა პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ რომლის არსებობისთვის ნიადაგი უკვე მზად არის.

როდესაც მუშა — ხალხი თავის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის იბრძვის, ცდილობს 8 საათიან სამუშაო დღის შემოღებას, ქირის მომატებას, წარმოებაში არსებულ ანარქიის მოსპობას და თვით წარმოების ახლანდელ წყობილების ხალხის საკეთილდღეოდ შეცვლას, — ეს დემოკრატიული მისწრაფებაა.

როდესაც გლეხი ითხოვს მიწას და თავისუფლებას და აცხადებს, რომ მიწა მშრომელ უმეტესობის ხელში უნდა გადავიდეს, რომ უნდა მოისპოს მესაკუთრე უმცირესობისგან მშრომელ უმეტესობის გაყვლეფა, — ესეც დემოკრატიული მისწრაფებაა.

როდესაც ხალხი აცხადებს, რომ უნდა დაემხო თვით-მპყრობელობა, და რომ ხალხის ხელში უნდა გადავიდეს მართვა და გამგეობა სახელმწიფოში, რომ ხალხმა საყოველთაო პირდაპირ, ფარულ და თანასწორ კენჭის ყრით უნდა ირჩევდეს წარმომადგენლებს, რომ თვით ხალხს და მის წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო ინიციატივა და კანონმდებლობის უფლება, რომ სამინისტრო ხალხის წარმომადგენელთა წინაშე პასუხის მგებელი უნდა იყოს, რომ უნდა მოისპოს არა პირდაპირი გადასახადი, მუდმივი ჯარი და ბიუროკრატიის თვითნებობა, — ესეც დემოკრატიული მოთხოვნა არის.

როდესაც ამბობენ, რომ ისეთი სახელმწიფო, როგორიც რუსეთი არის, ცენტრალისტურად მოწყობილი თუ დარჩა, — ხალხს მასში ფაქტიურად არ შეეძლება თავის წარმომადგენელთა ნამოქმედარს მუდმივად თვალ ყური ადევნოს და რომ ამიტომ უნდა შემოვიდეს სახელმწიფოში დეცენტრალიზაცია, რომ ადგილობრივ საქმეებს ადგილობრივი ხალხი უნდა განაგებდეს რომ უნდა მოისპოს ეროვნული დანაგვრა, რომ ყველა ერთი

და ყოველი ადამიანი უნდა იყოს თანასწორი და თავისუფალი, — ესეც დემოკრატიის მოთხოვნა არის.

დემოკრატიის აზრით, ხალხისთვის მანებელია ყოველი ის წესწყობილება, რომელიც სახელმწიფოს საკანონმდებლო და მართვაგამგეობის უფლებას ხალხს აშორებს და, ცენტრალისტურად მოწყობილ სახელმწიფოში, ხალხისგან არჩეულ წარმომადგენლებს ხელში აძლევს, რადგანაც ასეთი წარმომადგენლები ბოლოს და ბოლოს ბატონებად იქცევიან და ხალხს მონებად დაიფულებენ.

შეიძლება, პროგრამით დემოკრატიული პარტია საქმით არა დემოკრატიული გამოდგეს, — ეს ემართება ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც თავის სექტანტურ დოგმატიზმით და სხვების დაუნდობლობით იეზუიტების სასულიერო კავშირს უფრო წააგავს, ვიდრე დემოკრატიულ პარტიას, რადგანაც მან მოსპო თავის წევრებში თავისუფალ კრიტიკის ნიჭი და სამართლიანობის გრძნობა. ამის მაგალითი თუნდ „ლამპარ-მუშის“ პოლემიკაა, რომელშიაც პარტიის წევრები სასცენო ეკლესიებიან „ლამპარს“ და ზიზღს უთვლიან „მუშას“, თუმცა პარტიულ დოგმატიზმისაგან თავისუფალ ყოველ ადამიანისთვის, რომელიც სამართლიანობის გრძნობას სასცენო მოკლებული არ არის, ცხადზე უცხადესია, რომ ამ პოლემიკაში თვით „ლამპარსაც“ ბევრი საყვედური მართებს შეგნებულ მუშებისაგან.

მუშები დემოკრატიულად და არა სექტანტურად აღზრდილნი რომ ყოფილიყვენ, „ლამპარსაც“ თავიანთ საყვედურს არ მოაკლებდენ და ამნაირად განსწმენდადენ პარტიულ პრესას იმ სისაძაღლისაგან, რომელიც ამ პრესას სხვებში ეჯავრა და რომლისგან იგი თვითონაც თავისუფალი არ არის.

იტყვიან, ახლა ასეთების დრო არ არისო: რევოლუცია გვევალვებს პარტიის ერთგულებას და პარტიულ დისციპლინას, რადგანაც უამისოდ გამარჯვება არ შეიძლებაო. მაგრამ მე ჩემდა თავად არა მრწამს თავისუფლება იმკაცის ხელში, ვინც მუდამ თავისუფლებას სადატობს, არა მრწამს სამართლიანობის დამყარება იქ, სადაც ხალხს სამართლიანობის გრძნობა დახშული აქვს, და ის პარტია, რომელიც ხალხს ვითომც რევოლუციის გულისთვის აბრმავებს, დემოკრატიულ პარტიის სახელს ვერ დაიჩემებს და შემდეგში ხალხის ქომაგობას ვერ გაბედავს.

ჩვენ სოციალ-დემოკრატიულ პროგრამებზე აქ არაფერს ვამბობთ, — ამ პროგრამების გარჩევა და მის სიფარგის გათვალისწინება შემდეგისთვის გადავვიდეთ, ჩვენ აქ ვლაპარაკობთ მხოლოდ პარტიის ტაქტიკაზე და მის მეთაურ-იდეოლოგ-პროპაგანდისტების ქცევაზე. ჩვენ აქ ოდნავ აღვნიშნეთ ის სიფრთხე, რომელიც ხალხს პოეზიის მათ არა დემოკრატიულ ქცევის გამო და ჩვენი ღრმა რწმენა გამოვთქვით, რომ მხოლოდ დემოკრატიულად აღზრდილ ხალხში შეიძლება შესაფერი და სასიკეთო ნაყოფი გამოიღოს ყველა იმ სახელმწიფო ცვლილება, რომლის შემოღებას სცდილობს ახლა რუსეთში ყოველი თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანი. ჩვენ კიდევ შემთხვევა გვექნება ამის შესახებ უფრო დაწვრილებით გამოვთქვათ ჩვენი შეხედულება და მის სისწორის დასამტკიცებლად პარტიის მოქმედებიდან შესაფერი მაგალითებიც დავასახელოთ.

ურაგული.



ს. დ—ს

ზოგი არ მომწონს რამ შენში,  
მაგრამ საერთოდ კარგი ხარ!..  
ერთ ღროს მეც გამომაღგები,  
თუმც ჯერ კი სხვისი ბარგი ხარ!!

ახლა იღვიძებ, ჯერ კიდევ  
თვალი არ მოგიფშენეტია  
და შენს სიცოცხლე-ფართხალში  
ბევრი უღროვო.. მეტია!..

მაგრამ ეს არის კანონი  
ბუნების. უტყუარისა!..  
ცხადია, როგორც სინათლე  
ღლისით მზის, ღამით მთვარისა.

პირველად ფეხის ამდგმელი  
ცოტა ხნით მობარბაცეა!..  
ვინც არ ინძრევა და სულ წევს,  
აბა, ის რაღა კაცია!..

შენი შეცდომა სჯობია  
მძინარის შეუცდენასა,  
გიწუნებ, მაგრამ შენს ძვირს კი  
ვერ ვათქმევინებ ენასა!..

სადაც გულწრფელი შრომაა,  
იქ ნულარაფრის გრცხენია!  
შეცდომა წარმავალია,  
ქერწლივით გასაცვენია!..

მოვა დრო, შენც გასწორდები,  
დასდგები შენს დონეზედა  
და ბაიათებს დასძახებ  
სხვა კილო და სხვა ხმაზედა...

მეც იმ დროს ველი, მანამდე  
შორედან გივდებ რა ურსა,  
შენ საქებ-სადიდებელად  
ვერ ავაქლერებ ჩანგურსა!

ბეჭეა.

ამჟამინდელი ფეხმძივნი და მარჯნული სამიხი\*)

(რუსულიდან.)

II

თანამედროვე დიდი სახელმწიფოები უშველებელ ტერ-  
რიტორიებით და მრავალრიცხოვან ქვეშევრდომებით, ეტნიუ-  
რად და გეოგრაფიულად აუცილებლად წარმოიდგენენ აქრე-  
ლებულ სხეულს. ისეთი უშველებელი სახელმწიფო, როგო-  
რიც არის რუსეთი, რომელიც შეადგენს მთელი დედამიწის  
1/6-ს, შეუძლებელია გეოგრაფიულად ერთფეროვანი იყოს.  
ბუნებრივმა ფაქტორმა სხვა და სხვა დადი დასავა რუსეთის  
მცხოვრებლების ფიზიკურ და სულიერ ცხოვრებას, მათ ზნე-  
ჩვეულებას და სულიერ და ქონებრივ კულტურას. აზიის რუსეთ.

ში, მაგალითად, მერვის ოაზისებში, უწყობისა გამო შეურ-  
ნეობა არსებობს მხოლოდ ხელოვნურ მორწყვათ, შუა რუ-  
სეთში კი ხელოვნური მორწყვა სრულიადაც ნაკლებად არ  
არის.

მაგრამ ელფერი და თავისებურობა ამა თუ იმ ოლქისა  
მართა ბუნებრივ პირობებისაგან არ არის დამოკიდებული,  
ყოველ ოლქის თავისებურება შემუშავდა ათას სხვა და სხვა  
პირობის ზედგავლენით თავის ისტორიულ განვითარების  
დროს. კარგად ჩაუკვირდით ცხოვრების რომელიმე უმნიშე-  
ნელო ფაქტს, გაანათეთ იგი მეცნიერების სანათლით და თქვენ  
თვალწინ აღსდგებიან იდეებისთვის წამებულნი. მტკრიან  
არქივებში თქვენ აღმოაჩენთ ისეთ მიზეზებს, რომ მაშინვე  
დარწმუნდებით და გაიგებთ, თუ როგორ და რომელ ფაქ-  
ტორების ზედ გავლენით ჩაიბეჭდა ცხოვრებაში ესა თუ ის  
ჩვეულება, წყობილება და ადათი. ამის შემდეგ ადვილი გა-  
საგებია ის გარგნულად გაუგებარი მოვლენა, რომ ყოველ  
ასეთ ჩვეულებისა და წყობილების დარღვევა და ხელისხლება  
ხალხში წინააღმდეგობას და ტკივილს იწვევს. ბარბაროსული  
დაპყრობა ხალხისა, რომელიც ერთი ხელის მოსმით ანადუ-  
რებს ხალხის ისტორიულად შეძენილ კულტურას და ამ ხალ-  
ხის გონებრივ და ზნეობრივ ცხოვრებაში ამყარებს გაუნათ-  
ლებელ ახალ ბატონთა დამახინჯებულ წყობილებას, ისტო-  
რიის კაპრიზი, რომელიც ერთ ერს სამუდამოდ ამწყვდევს  
გაუნათლებლობის საპყრობილეში და მეორეს კი ანიჭებს მძ-  
ლავრ კუ ტურას,—აი, სხვათა შორის, ის ისტორიული მი-  
ზეზები, რომლის მეოხებით ესა თუ ის ოლქი ხშირად გადას-  
ცდება წესიერ კულტურულ განვითარების გზას და თავის  
ბედნიერ მეზობლებს ბოლოში მოექცევა ხოლმე.

ყოველ სახელმწიფოში უეჭველად არის ხოლმე ბრძოლა  
ადგილობრივ თვითმმართველობისთვის. ცენტრალურ მთავ-  
რობას ხშირად უხდება ბრძოლა სხვა და სხვა ერებთან, ოლ-  
ქებთან, წოდებებთან, ეკლესიებთან და სხ. ბრძოლის შედე-  
გი სხვა და სხვა სახელმწიფოში სხვა და სხვანაირია და ყო-  
ველთვის ცენტრალურ მთავრობის გამარჯვებით არ თავდება  
ხოლმე. მე-XVI საუკუნის დამდეგს საფრანგეთში ეგრედ წო-  
დებულ ფრონდას არა ერთხელ უცდია აბსოლუტურ მონარ-  
ქიის თავიდან მოშორება, მაგრამ იმ დროის მონარქიას იმდე-  
ნად ჰქონდა გააპარებული ფეხი, რომ მას ფრონდამ ველარა-  
ფერი დააკლო. ამის შემდეგ საფრანგეთის მთავრობა მხო-  
ლოდ იმასდა ცდილობდა, რომ როგორმე დაეხმო ადგილობ-  
რივი დამოუკიდებლობა და თავის ხელში მოეგროვებინა მთე-  
ლი ძალა-უფლება. ეს პროცესი დაიწყო რიშელიმ და დაამ-  
თავრა ნაპოლეონ I-მა. ამ პოლიტიკამ თითქმის მთლად მოს-  
პო ადგილობრივი თავისებურობა და საფრანგეთის მთელი  
გონებრივი და ქონებრივი კულტურა მხოლოდ პარიზში მო-  
ათავსა. სწორედ ამიტომ არის ნათქვამი: ვინც პარიზი ნახა,  
მას მთელი საფრანგეთი უნახავსო. გერმანიაში, პირიქით,  
ცენტრალური მთავრობა ასეთი ძლიერი არ იყო, როგორც  
საფრანგეთში, და ამიტომ ასეთმა პოლიტიკამ სხვა ნაყოფი  
გამოიღო.

არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთ პოლიტიკისთვის წინა-  
აღმდეგობა არ გაეწიოთ. მე-XVI და მე-XVIII საუკ. საფრან-  
გეთში აბსოლუტიზმმა საესებით ვერ მოსპო წოდებრივი  
ცხოვრება; იმ დროს ხშირი იყო ავტონომიური ოლქები.  
ხალხის ბრძოლამ აბსოლუტიზმთან ახალი სული ჩაბერა ად-  
გილობრივ ცხოვრებას. იმ დროს ხშირად გაისმოდა პრო-  
ტესტი წინააღმდეგ გადამეტებულ ცენტრალიზმისა, პიროვნე-

\*) იხ. „ივერია“ № 16.



ბის შეზღუდვის, და ადგილობრივ ცხ ივრების შეჩერებისა. ამ იდეას პირველად საფრანგეთში გაუზღდნ მოხზრენი და თეორეტიკოსები. საფრანგეთში დაარსდა დეცენტრალისტთა სკოლა, რომელმაც თავის დროშაზე დასწერა დამოუკიდებლობა ადგილობრივ თემებისა და კავშირებისა. თანამედროვე სახელმწიფოებრივი თეორია თავგამოდებით იცავს ამ სკოლის თვლთახედვის ისარს. ცნობილი თანამედროვე თეორეტიკოსი ამ მიმართულებისა—პროფ. იელინეკი—ასე ასაბუთებს მას: „სრულიად შეუძლებელია ცენტრალურ დაწესებულებებით დიდ სახელმწიფოების მართვა-გამგეობა. ადგილობრივ სასამართლოებისა და თვითმმართველობის ორგანოებს განსაზღვრულ ფარგალში გადამწყვეტი უფლება უნდა მიეცეთ და ამ უფლებებს ზოგიერთ შემთხვევაში საბოლოო ხასიათი უნდა ჰქონდეთ. ამ რიგად რეალურ სახელმწიფოს ნორმალურ ტიპად გამოდის დეცენტრალისტური სახელმწიფო. პოლიტიკურად და იურიდიულად შეიძლება ლაპარაკი იყოს მხოლოდ დეცენტრალიზაციის საზღვრებზე, ამ საზღვრების აღნიშვნა და მოკიდებულია ათას სხვა და სხვანიარ პოლიტიკურ და ისტორიულ ურთიერთობაზე. მცხოვრებთა შორის ეროვნული სხვა და სხვაობა, სხვა და სხვა ოლქების კულტურული სხვადასხვაობა და ამ ოლქების სიშორე ან სიახლოვე ცენტრიდან—ყველა ეს სოციალური და ბუნებრივი დაბრკოლება ცენტრალიზაციისთვის. მაგრამ სახელმწიფო რომ ერთ ერთაც იყოს დასახლებული და გეოგრაფიულადაც ერთფეროვანი იყოს, ცენტრალიზაციას ხელს უშლის სხვა პოლიტიკური მოსაზრება. ცენტრიდან შეუძლებელია სახელმწიფოს სხვა და სხვა კუთხეების რეალურ საქიროების შესწავლა; ცენტრალიზმი აწენს ბიუროკრატის, რომელიც ყოველთვის დაშორებულია ხალხზე და სრულიად არ იცნობს მის სიჭირბეჭადს; ცენტრალიზმის დროს შეუძლებელია ხალხში განვითარდეს ხალხის თვითმოქმედება; ცენტრალურ მთავრობას უნდა ჰყავდეს მოპირდაპირე, რომელიც, თუ საქიროება მოითხოვს, წინ აღუდგება მის თვითნებობას—ეს არის უპირატესობა დეცენტრალიზაციისა“.

რით შეიძლება სახელმწიფოს მთლიანობის დაცვა, თუ ამავე დროს იმის ცალკე ნაწილებს თვითმმართველობა მიენიჭა?

სახელმწიფო მეცნიერება სცნობს სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის ორ ფორმას: დეცენტრალიზაცია ადმინისტრაციული და პოლიტიკური. ბიუროკრატულ—ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია ისტორიული ნაშთია, რომელიც დიდი ხანია ცხოვრებაშიც დაჰგმო და მეცნიერებამაც. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს აღმოცენდა ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც დამყარებულია იმ აზრზე, რომ საქიროა მართვა-გამგეობის ფუნქციები ბიუროკრატულ კასტას ჩამოერთვას და ვადაეცეს ხალხის წარმომადგენლებს. ბევრს ეცადა ინგლისის ბიუროკრატიაში ეს იდეა აღმოეფხვრა მოქალაქეთა თავიდან, მაგრამ დამარცხდა. ყოველ ინგლისელისთვის პარლამენტარული წარმომადგენლობა იყო მხოლოდ გვირგვინი თვითმმართველობის პრინციპისა და უზრუნველყოფა პიროვნების თავისუფლებისა. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ პირველად ინგლისში გაჩნდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ამ იდეას წინადაც ჰქონდა გამოდარი ფესვები დასავლეთ ევროპაში, პროფესიონალური და წოდებრივი ორგანიზაციები და საქალაქო და სასოფლო კომუნები საშუალო საუკუნეებში დროებით განდგენა ბიუროკრატიაში. ინგლისის დაწესებულებათა მაგალითით გატაცების დროს ეს

მუხლი შეიტანეს ლიბერალებმა თავიანთ პროგრამაში, მაგრამ პირველად იგი განახორციელეს მხოლოდ 1831 წელს, როცა ბელგიის კონსტიტუციამ აღიარა ადგილობრივი თვითმმართველობა. 1797 წელს ადგილობრივი დამოუკიდებლობა ამერიკაში უზრუნველყოფილ იქმნა. მე-XIX საუკუნეში საბოლოოდ დაბტვიცდა, რომ თვითმმართველობის იდეასა და პარლამენტარიზმის იდეას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. ამ ჟამად თითქმის მთელ ევროპაში შემოდებულია ადგილობრივი თვითმმართველობა. 1864 წელს რუსეთშიაც შემოიღეს ერობა. თუმცა შემდეგ მას ძალიან მოაკვეცეს ფრთები და შეზღუდეს მისი უფლებანი, მაგრამ მან მაინც განუზომელი სარგებლობა მოუტანა რუსეთს.

გაფართოებული ერობა საესებით დააკმაყოფილებს შუა რუსეთს. სულ სხვა ნაირად არის საქმე ისეთ ოლქებში, რომელნიც შესამჩნევად განსხვავდებიან ცენტრალურ რუსეთისგან, მით უფრო, თუ ის ოლქები დასახლებულია ისეთ ეროვნებით, რომელსაც წარსული ჰქონდა და ცდილობს დაიცვას თავისი კულტურა და ეროვნული თავისუფლება.

იდეა ადგილობრივ კანონმდებლობას მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოკრატულ პრინციპთან, რომელიც ხალხის პირდაპირ ბატონობას აღიარებს, და ამ მოთხოვნას მხარს უჭერენ ქეზმარტი დემოკრატული პარტიები. ამ საკითხმა დიდი მითქმა-მოთქმა და აყალ-მაყალი ასტეხა. ბევრნი ამტკიცებენ, რომ ავტონომია სახელმწიფოს მთლიანობას არღვევს, ნამდვილად კი ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მეორე საკითხის გადაწყვეტაზე: სჭირია თუ არა რუსეთს ადგილობრივი კანონები? ისინი, ვინც უარაყაფენ ადგილობრივ ავტონომიას და ამტკიცებენ, ვითომ მთელი რუსეთი ერთნაირ კანონს უნდა ემორჩილებოდეს, ვერაფრით ვერ ასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებას. მათ მიერ წამოყენებული წყობილება ხალხის შეგნებაში არ არის შესული, ცხოვრებაში არ არის განხორციელებული და, მაშასადამე, ვერ დაიცავს სახელმწიფოს მთლიანობას. ესენი თხოულობენ მართვა-გამგეობის ისეთ წეს რიგს, რომელიც ფიქრადაც არ მოსვლია ბიუროკრატის, თავის თვითმპყრობელობის დროსაც კი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი იყო და არის ცენტრალისტური სახელმწიფო, ბიუროკრატიაში მაინც ვერ დამორჩილა ცხოვრება და იძულებული იყო, საერთო კანონებს გარდა, ადგილობრივი კანონებიც გამოეცა. პოლონეთში დღესაც მოქმედობს ნაპოლონ I-ის მიერ შემოდებული საქორწინო კოდექსი; ოსტრეის მხარეშიაც არსებობს პოლონეთისა და შვეციის მეფეების მიერ შემოდებული კანონები, ფინლიანდიაში დღესაც არ არის გაუქმებული 1734 წლის შვეციის დებულება; ჩერნიგოვისა და ლიტვის გუბერნიებშიაც დღესაც ძალაშია ლიტვის სტატუტები: ადგილობრივი კანონები და დებულებანი არსებობს კავკასიაში, ბესარაბიაში და კიდევ ბევრგან. რუსეთის იმპერიის მთელი ოლქები ცხოვრობდნ და ეხლაც ცხოვრობენ საკუთარ კანონებით და ცხადია, რომ მათი შეცვლა შეუძლიანთ ადგილობრივ ხალხის წარმომადგენლებს და არა იმათ, რომელთაც ადგილობრივ ცხოვრების არაფერი ესმით. ამ საკითხის გადაწყვეტა არ შეუძლია იმპერიის საერთო პარლამენტს, რადგან, შესაძლებელია, მცხოვრებთა სურვილი სულ სხვა იყოს რა მათ წარმომადგენელთა სურვილი-კი სხვა. დასავლეთ ევროპის მაგალითმა ცხადად დაგვიბტკიცა, რომ ისეთ სახელმწიფოებშიაც კი, რომელიც რუსეთზე პატარაები არიან და სადაც განათლება უმაღლეს წერტილამდეა ასული, ცენტრალური დაწესებულებანი ვერ ასწრობენ საზოგადო საქმე-



ების გაძლიერებას, მიუხედავად იმისა, რომ იქ ადგილობრივ საქმეებს განაგებენ ადგილობრივი დაწესებულებანი. თუ პარლამენტი საზოგადო საქმეების გარჩევასაც ვერ ასწრებს, როგორ უნდა დააკმაყოფილოს მან ადგილობრივი საქმიანობა, როგორ უნდა მოასწროს ადგილობრივ საქმეების განხილვა?

საოლქო ავტონომია ძალიან ჰგავს ფედერაციას, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც დიდია. ფედერაცია (კავშირის სახელმწიფო) არის სახელმწიფოს ისეთი წყობილება, როცა ყოველი ნაწილი კავშირისა (შტატი, კანტონი) იგივე დამოუკიდებელი (თუმცა შეზღუდული) სახელმწიფოა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცალკე შტატები, რომელთაც აქვთ საკუთარი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სამოსამართლო ორგანოები, თავიანთ საქმეებს განაგებენ ძირითად კანონებით აღნიშნულ საზღვრებში სრულიად დამოუკიდებლად, ე. ი. ცენტრალურ ორგანოების დაუქობნავედ. მაგალითად: ჩრდილოეთ ამერიკის რესპუბლიკის ყოველ შტატს აქვს საკუთარი საკანონმდებლო პარლამენტი, არჩეული ადმინისტრაცია, არჩეულივე გუბერნატორით და საკუთარი სასამართლო. თუ რამდენად დამოუკიდებელია შტატი ადგილობრივ საქმეებში ცენტრალურ მთავრობისგან, ამის მაკალითებად მოვიყვანოთ რამდენიმე შემთხვევას. რამდენიმე წლის წინად ილინოისის შტატში დიდი გაფიცვა და არეულობა მოხდა. შტატს ცენტრალური მთავრობა მიეწველა და ჯარი შესთავაზა, მაგრამ შტატის გუბერნატორმა უარპყო დაშიაჩება მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ფაქტი შტატის შინაურ დამოუკიდებლობას დარღვევად მიანდა. ლუიზიანაში ხალხმა რამდენიმე იტალიელი მოჰკლა. იტალიის ელჩმა ჯარიმის გიდახდა მოსთხოვა შტატს, მაგრამ შტატმა უარი უთხრა, რადგან კონსტიტუცია მას უფლებას არ აძლევდა მოლაპარაკება გაემართა უცხო სახელმწიფოებთან. ცენტრალურმა მთავრობამ ეს საქმე ლუიზიანას შტატის შინაურ საქმედ ჩასთვალა და უარი სთქვა ელჩის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. საქმე იმით გათავდა, რომ იტალიის მთავრობამ დროებით გაიწვია თავისი ელჩი.

(დასასრული იქნება)

### რუსეთის ცხოვრებიდან

როცა როგანის ლაქებისაგან ნაცემმა ვოლტერმა ებისკოპოსთან უჩივლა როგანს, ებისკოპოსმა ასეთი პასუხი მისცა: პოეტებს რომ ჯოხით საცემი ზურგი არ ჰქონდეთ, ჩვენ ძალიან უბედურები ვიქნებოდითო. ასევე ითქმის რუსეთის მთავრობაზე და რუსეთის სახელმწიფოში მოსახლე უბედურებრაელებზე. რუსეთში რომ ებრაელები არ ყოფილიყვნენ, ჩვენი ადმინისტრაცია „უბედური იქნებოდა“, რადგან ვეღარავისზე ამოიყრიდა თავის მოშხამულ ჯავრსო.

პირველად განმეწებულმა პლევგემ აღმოაჩინა, რომ ებრაელთა დარბევა საუკეთესო „გრომოოტვოდი“ იქნებოდა და ახლად მოგონილი ხერხი პირველად კომინფეში სცადა. ცდამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. კომინფეს მოჰყვა გომელი, ოდესა, კიევი, კრემენჩუგი და სხვა ათასი დიდი და პატარა დაბა-ქალაქი. მას აქეთ, ვინ იცას, რამდენი ათასი ებრაელი დაქვრივდა, ვინ იცის რამდენი ათასი ბავშვი დიობლდა, რამდენი ათასი დედა ატირდა. ამ რამდენიმე ათას ობოლსა და ქვრივს კიდევ მიემატა რამდენიმე ასი ობოლი და ქვრივი. ბელოსტოკში კიდევ აიკლეს ებრაელები. ერთი კვირის განმავლობაში ქალაქში ხმა დადიოდა, რომ დღეს თუ ხვალ

ებრაელებს აიკლებნო. ახლო-მახლო სოფლებში ავტორიტეტი დადიოდენ და გლეხებს აუწყებდენ, ამა და ამ დღეს ბელოსტოკში ებრაელების აკლება იქნება და ჩამოძირნო. დანიშნულ დღეს გლეხებიც შეიკრიბნენ. „პატრიოტებმა“ ხმა გაავრცელეს, რომ სამი ღღას განმავლობაში ყველას შეუძლიან ებრაელების ძარცვაო, არავის არ დასჯიანო და, ვიცაც სურს, ისარგებლოს ამ ნებართვითაო. იმ დღეს რაღაც უქმე იყო და მლოცველებს ხატებით ქალაქი უნდა დაველოთ. პროცესის დროს რაღაც რევოლუციური გავარდა. ეს იყო ნიშანი, დასარბევად დამზადებული ხალხი ეცა ებრაელების მალაზიებს და დაუწყო მტვრევა. ხულიგანებს წინ პოლიციელები და სალდათები მიუძღოდენ და იარაღით უკაფადდენ გზას გამხეცებულ ბრბოს, რომელიც არაფერს და არავის არ ზოგავდა. თივზარდაცემული ებრაელები სარდაფებსა და სახურავებში იმალებოდენ. სოფლებიდან ჩამოსული გლეხები, „პატრიოტები“, ხულიგანები და ქუჩის ბიჭბუჭები მეტებრებიოთ ეძებდენ დაბალულებს და იქვე ხოცავდენ. თუ ვინმე წინააღმდეგობას უწევდა, ჯარი იქვე იყო, „ქრისტეს მოყვარე და მამაკი მხედრობა“ ხულიგანებს შეელოდა, სახლებს ორფს უშენდა, ჩაკეტვლების თავშესაფარებს იერიშით იღებდა და ყველას, ვისაც კი შიგ მოასწრობდა, უმოწყალოდ და საქმის გამოუძიებლად ხოცავდა. ნაძარცვი და ნადავლი ებრაელთა საქონელი ურმით მიჰქონდათ. ოთხი დღის განმავლობაში ქალაქი მძარცველთა ხელში იყო; ოთხი დღის განმავლობაში მეოცე საუკუნის ბარბაროსები, რომელთაც სიმხეცითა და სისასტიკით მონგოლებსა და პირველყოფილ ველურებსაც კი გადააქარბეს, უმანკო სისხლში დაკურავდენ და ამ სისხლით დამთვრალნი ანადგურებდენ ყველაფერს, რასაც კი ხელში მოიგდებდენ. ერთ სახლში ხულიგანებმა ხუთი მამაკაცი და დედაკაცი დაიჭირეს, ყველანი შეჭკრეს, დახოცეს და ზევითა სართულიდან გადმოყარეს. მეორე ალაგას ქალები გააუპატარეს. მერე მუცლები დაუჭრეს და ისინიც ქუჩაში გადმოყარეს. მესამე სახლში მოხუცი შეჭკრეს, ზედ დაასხდენ, ცოცხალ ადამიანს ოთხ გოჯიანი ლურსმანი ჩაურკეს თვალში და თავი დაანებეს. მეოთხეს მთელი თავი და ცხვირიბირი სავსე აქვს ლურსმებით. მეხუთეს ენა მოსჭრეს, მეექვსეს სასქესო ასოები დაჭრეს, მეშვიდეს დიდი კომბალი ჩასჩარეს პირში და დაახრჩეს. ერთ სახლიდან ხულიგანმა ხუთი წლის ბავშვი გამოიყვანა და იქვე სალდათების წინ ყანყარატოში ხელი წაავლო, ზევით ასწია და იმ დრომდის ეჭირა პაერში, სანამ ბავშვი არ დაიხრჩო. სალდათები დამსწრენი კი... იციანოდენ. ბელოსტოკში მიმავალ მატარებლიდან, ჯარისა და აფიცრების თვალ-წინ, გადმოათრის ექვსი ებრაელი და იქვე დახოცეს. მეხუთე დღეს, როცა დაღლილმა ჯარმა და ხულიგანებმა გული მოიჯერეს, აკლება და ხოცვა-ჟლეტა შესწყდა. დაქროლთა და დახოცილთა რიცხვი ორას კაცს აღემატება.

ბელოსტოკში ცხოვრება ისევ ჩაღდა თავის კალაპოტში, ყველაფერი დამშვიდდა, დაწყნარდა და მიყუჩდა. ეხლა ჯერი მიღდა გამოძიებლებზე და ისტორიაზე. სათათბირომ სამი დეპუტატი გაგზავნა საქმის გამოსარკვევად, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებმაც გამოძიებლები გაგზავნეს და პასუსს უშხადებდენ სათათბიროს.

აკლების დასაწყისში მთავრობამ გამოაცხადა, ებრაელებმა ყუმბარა ესროლეს პროცესისას, ერთი კათოლიკე მღვდელი მოჰკლეს, მეორე დასჭრესო და სხვ. მეორე დღეს იმავე მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გუშინდელი ცნობა,



ვითომ ებრაელებს ყუმბარა ესროლნათ, ტყუილი გამოდგაო. მესამე დღეს ისევ გამოაცხადეს ოფიციალურად, რომ ებრაელებმა პროცესის რევოლუციონერები დაუშინესო. სიცრუეს სიცრუე მოსდევდა, პროვოკაციას პროვოკაცია, ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ რევოლუციონერებისა და ყუმბარების სროლაც წმინდა პროვოკაცია ყოფილა. თუმცა საქმე ჯერ დაწვრილებით არ გამოურყვევიათ, თუმცა ჯერ არავისთვის შეუდგენიათ ოფიციალური საბრალმდებლო ოქმი, მაგრამ ესლავე თვალნათლად დამტკიცდა, რომ ებრაელთა აკლება ბელოსტოკში წინდაწინვე იყო მომზადებული, გეგმა წინდაწინვე იყო შემუშავებული და აკლების ბრძანებაც წინდაწინვე ჰქონდათ მიღებული შორიდან, პეტერბურგიდან.

ჩვენ დღემდისაც ვიცოდით, რომ აკლების ბრძანება პეტერბურგიდან მოდიოდა, მაგრამ ჩვენ შორის ბევრია ისეთი, რომელთაც არ სჯერა ეს მართლაც რომ დაუჯერებელი ამბავი. ესლა ყველაფერს ფარდა აეხადა, ყველაფერი გამოჩნდა და ყველა დარწმუნდა, რომ პეტერბურგში საიდუმლო ფარდის უკან ვიღაც სწერს აკლების ბრძანებას, ადგენს გეგმას და მისი ყურმოკრილი პოლიციაც ზედმიწევნით ასრულებს დისპოზიციას. ფარდა რომ რომელიმე ყურნალისტს აეხადა, ურწმუნონი განგებ თვალებს დახუჭავდნენ და არაფერს დაიჯერებდნენ, მაგრამ დღეს ფარდს ამწევის საპატიო როლი ერგო შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწედ ნამყოფს თავ. ურუსოს, რომელმაც ყველაფერი, რაც დღემდის ხდებოდა საიდუმლო ფარდის უკან, მშვენივრად იცის. სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ურუსოვმა ბელოსტოკში მომხდარ ამბების გამო ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და საესებით დაასურათა და გამოააშკარა მთავრობის როლი და მონაწილეობა ასეთ საქმეებში. მან აღნიშნა ის ფაქტი, რომ პოლიციის დეპარტამენტის მოხელეებმა სტამბა გაიჩნეს, ამ სტამბაში მილიონობით ბეჭდვდნენ ხულიგანურ პროკლამაციებს და ხელმძღვანელობას უწევდნენ ებრაელებისა, ინტელიგენციისა და არა რუსთა აკლებას. ეს სტამბა შემთხვევით აღმოაჩინეს. სტამბის გამგემ ერთ მოხელეს პირდაპირ უთხრა: „როგორი აკლებაც გნებავთ, ისეთს მოვახდენთ. თუ გნებავთ 10 კაცს ავიკლებთ, თუ გნებავთ 10000-ს“ „ბატონებო!—მიმართა ურუსოვმა დეპუტატებს. ეს არის ისტორიული მუქარა. კიევის დეპუტატების საყურადღებოდ უნდა გამოვაცხადო, რომ 3 თებერვალს კიევში 10000 კაცის აკლებას აპირობდნენ, მაგრამ დროზე შეუტყვეს“. ორატორი ამტკიცებდა, რომ „ვერავითარი სამინისტრო ვერ აღადგენს მშვიდობიანობის იმ დრომდის, სანამ ვილაკეები (?) თავიანთ ხეპრე ხელებს არ მოაშორებენ სახელმწიფო მანქანას“, სანამ „ქვეყნის საქმეებზე ვაგდენა ექნებათ ისეთ კაცებს, რომელნიც აღზრდით პოლიციელები და ვახმისტრები არიან, რწმენით კი ამოახრებენ“.

რას ნიშნავს მინისტრის ამხანაგად ნამყოფის განცხადება, რომ „მინისტრებსაც არ შეუძლიანთ ქვეყნის ახორებას ბოლო მოუღონო“. მაშ ვის შეუძლიან მოუღოს ბოლო? როგორც ურუსოვის განცხადებიდან სჩანს, მისი მოსპობა შეუძლიან ისევ იმას, ვინც ხელმძღვანელობს ხულიგანებს. მაგრამ არ დასახელა, რადგან ისედაც ცხადია აკლების ავტორის ვინაობა. იგი ვახლავთ სასახლის კამარილია, სასახლის ლაქიები, ჯგუფი იმ რეჟიმის მომხრეთა, რომელიც ასაზრდოვებდა მათ, რომელსაც ისინი მეწველ ფურცივით სწველიდნენ და რომელიც უზრუნველყოფდა მათ მუქთამკამლობას, ხაზინის ძარცვას, ხალხის გაყვლეფას და ქვეყნის სარჩოს გადაგდებას როსკიბებზე და სათამაშო ქაღალდზე.

თავ. ურუსოვმა გუშინ დანიშნულ შინაგან საქმეთა მინისტრს სტოლიპინს ხელი გადააფარა და განაცხადდა, რომ მას ხელები ჯერ გასვრილი არა აქვს სისხლითაო, მაგრამ ამით მან დაიფარა მხოლოდ სტოლიპინი და არა საზოგადოდ მთავრობა, რომელიც მისივე სიტყვით უმთავრესი ავტორია ხალხის უბედურებისა წრეულის სააღდგომოდც აპირობდნენ ებრაელების აკლებას, მაგრამ მთავრობამ დროზე მიიღო შესაფერი ზომები და ებრაელებს თავიდან ააცილა მისალოდნელი უბედურება. მიზეზი ის იყო, რომ იმ ხანებში რუსეთის მთავრობა ევროპაში სესხის აღებას აპირობდა და შესაფერად აფასებდა ევროპის საზოგადოებრივ აზრს. ესლა ახალი სესხი საჭირო აღარ არის, რადგან მისი შოვნა შეუძლებელია, და მთავრობამაც ხელები გაუხსნა ხულიგანების მეთაურებს. შეადგინა გეგმა, გასცა ბრძანება და საზოგადოებრივ ეროვნულ შოვინიზმის კერძს კიდევ შესწირა ორასი უმანკო მხვევრპლი.

აქვს თუ არა დასასრული ამ ბარბაროსობას? აქვს თუ არა საზღვარი ხალხის მოთმინების? ვინ იტყვის, რომ ხვალ ან ზეგ ჩვენც ასეთივე დღეს არ დაგვაჯიან! ვინ არ იცის რომ რუსი „პატრიოტები“ ებრაელებს გარდა ყველა არა რუსებსაც უჩივიანებენ. მათი ლიტერატურა საესვა ლანძღვით „ნიოროდცების“ მიმართ, რომელთა შორის ჩვენ, ქართველებიც, ვართ. ჩვენმა „ნიოროდცობამ“ დეკემბერში და იანვარში უკვე დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ გერები ვართ „ნამდვილ რუსებთან“ შედარებით რუსეთის მთავრობის წინაშე. რა ჩავიდინეთ ჩვენ ისეთი, რომ ასე საშინლად, ასე მხეცურად და ბარბაროსულად აგვიძულეს, აგვაოხრეს, გადაგვბუგეს და აგვანიაფეს? განა შუა რუსეთში არ იყო საერთო გაფიცვა? განა იქ არ იყო რევოლუციონური მოძრაობა? ზოგი იტყვის, ბიუროკრატისთვის ყველა რევოლუციონერი ერთია: ქართველი, სომეხი, ებრაელი, რუსი და პოლონელიო. დიად, ერთის მხრით ყველა რევოლუციონერი მისთვის ერთნაირად სახიფათოა, მაგრამ ტყუილად ნურავინ დაიბრმავებს თვალებს, ტყუილად ნურავინ მოიტყუებს თავს და ნუ იტყვის, ვითომ ყველანი ერთნაირად დავისაჯეთ.

გამხეცებული თვითპრობელობა თავის გადასარჩენად ყოველნაირ იარაღს ხმარობს და ეროვნული სხვადასხვაობა ის მძლავრი ფაქტორია დღევანდელ რევოლუციაში, რომელიც უფრო თვითპრობელობას ემსახურება, ვინემ რევოლუციას. შავი ძალები დღეს ებრაელებს იკლებენ, ხვალ პოლონელებს მიესვენან, ზეგ ქართველებს, მაზეგ სომხებს და არავინ იცის, როდის მოეღება ბოლო ეროვნულ შულუსა და მტრობის, — ესეთ უსინდისო ექსპლუატაციას. ყველა ჩვენგანი, მთელი საზოგადოება, და მთელი რუსეთი ასე შეეწვია ბელოსტოკისებურ ამბებს, ისე შეეწვია სისხლს, ხოცვა-ჟლეტას, ათას ძალმომრეობას და ბარბაროსობას, რომ მას სრულიად დაჩოუნებული აქვს გრძობა და ნერვები. მას აღარ შეუძლიან აღელვება, განრისხება, პროტესტის ცეცხლის ანთება და გულში იმ ქარიშხალის გაღვიძება, რომელიც ერთად ერთი სტიმულია ხალხის აჯანყებისა უსამართლობისა და სიმხეცის წინააღმდეგ. ეს არის უმთავრესი დეფექტი განმთავისუფლებელ მოძრაობისა, ეს არის იქვიანობისა და უნდობლობის წყარო გამარჯვებისადმი. როგორ შეიძლება გამარჯვოს იმ ხალხმა, რომელიც გულგრილად უტყერის ბელოსტოკის ამბებს, გულგრილად უსმენს კორესპონდენტებს და სუსტი კენესით და შუბლის ოდნავ შექმუხენით კითხულობს იმ სტრიქონებს,



სადაც სწერია, რომ ცოცხალ ადამიანებს ლურსმნები ჩაურქვის თვალბშიო!

მ. ა.

### კ უ რ კ ა ს ნ მ რ უ ი ლ ი

ბევრმა არც კი იცოდა იმის ნამდვილი სახელი. ერთხელ ვიდაცმა კურკა დააჭყა და მის აქეთ ვეკლანი ასე ეძახდნენ.

მოკლე და მოკრებილ ფეხებს დიდის გაჭირვებით დაჭჭნდნით იმის უშველელი დიხი, ფეხბაშის ჩამოკიდებული ხელები და დიდი, გოგონას ოდენა თავი, რომელსაც ადის ფერი თმა ამშვენიერბდა. მარჯვენა ფეხი განკასზე გაჭჭნდა და ისე დადიდა, თითქო იმ ფეხით სტეფავსო. მოკრებილ ფეხს რომ გადაეგდებოდა, თავი მარცხნივ გადაწევიდა, მორე ფეხს რომ მიამაგლებოდა, თავი ისე გადმოგორდებოდა ხოლმე მარჯვნივ, თითქო ვიდაცას სვამს აქვესო.

თავიდა კურკა ვეკლას დაბრუნებული ჰყავდა. ვინც არ მგონია, თავში ჩაუფიქრებდა, ან მოკრებილ ფეხში სარმის გამოხედობა და გაავლობდა, ან უკანდარ მიუხარებოდა, კლანჭში მისწვდებოდა და ძაღლივით დაჭეუფავდა, ან კიდევ სულ უმსუხუცად შარს მოუღებდა და მისტეპავდა.

კურკა მეტის მეტად ღახნად და მტრად იყო. მაგრამ უფადაზე მეტად ძაღლებიანი ეშინოდა. ქუჩის ბიჭები და მისხარა მის წინწალები ამით სარკებლობდნენ და სწრაფ კურკას სიციცხლეს უმწარებდნენ. უფაღ დღე ვინმე ხუშარ უკანდარ მიუხარებოდა, კლანჭში მისწვდებოდა და დაჭეუფავდა. ამაზე ხატარა კურკა ჯერ სპინდელ დაბობავებდა, მერე მიწაზე გაკორდებოდა. კძელ ხელებისა და მოკლე ფეხების ქნეკას დაიწყოდა, თითქო ძაღლს იკურებსო, და მორთავდა ხოლმე უფორას:

— ვამე-ე-ე... მიშველ-ე-ე... კარა-ე-ე... გარდავო-ო-ო-ო მიშველ-ე-ე-ე... ბიჭ-ბუჭებს და ხარახებს კურკას უშუღი და ფეხების ქნეკა ჯერ მისწინდით, მაგრამ კურკა უფორილს არ ათავებდა და მთელ ბახარს შეჭურდა ხოლმე. მიშისგან გადაწეული კურკა აქეთ-იქით იხედებოდა და წუწუნებდა:

— კაცო, რა გინდათ ჩემგან! რატომ თავს არ დამანებოთ! რატომ არ მომიშველით!

სწორედ ამ დროს ისე ვინმე მიუხარებოდა ხოლმე, ფეხებში წასწვდებოდა და მიშისგან დარტყანებულ კურკად სელმეორედ ასტეხავდა დროდს:

— კარა-ე-ე... მიშველ-ე-ე... კარდავო-ო-ო... მაგრამ ბახარი ისე შეეჩია კურკას ბეჭილას და ტირილს, რომ მიშველელი იშვიათად ჩნდებოდა. ბოლოს და ბოლოს კურკა თავის თავს ისე თვითონ უგლიდა: რაკი დაინახავდა, რომ მოხარბილ ანკან ჰყავდა, სანქარდ წამოადგებოდა, ფეხით ცუცვას და თავის ქანობას მოუჩქრებდა, თავის ხატარა ღუქანში შეტყობოდა და იქიდან ორი საათის განმავლობაში ვეკლას ღახიდვას და მუქარას უტახავდა.

როდისღაც კურკას ხერხი ეჭირა და დიდიდან საღამომდის შეშის ურმებს დასდგოდა. რამდენიმე წლის განმავლობაში ვერეკლებს უფაღ დღე ესმოდით კურკას უფორილი:

— აბა, შეშა ვის უნდა, შეშა! კაცო, ხელა წიფავა ე ურემი! კაცო, დიდა, როგორ მიერეკები მაგ ურემს!

კურკა წამოაწევი უკან რჩებოდა და ურემს მხოლოდ მასწინ წამოეწეოდა ხოლმე, როცა ვაჭრობა თითქმის გათავსებული იყო. გარდა ამისა, მის რამდენიმე კონკურენტად ჰყავდა, რომელიც უფაღ დღეის წინ მოუძღოდნენ ურემს და მუდგულის ხელში იტვებდნენ. კურკა კი ძალიან ხშირად ხსან მშრალი რჩებოდა.

კურკა როდისღაც გარში ხარხთან აყო შავი ფეხი და მის დაკრება იცოდა. მის წინადაც უნდოდა საუფროსი დაეჭირა მისი დება, მაგრამ ვერ მოახერხა, ახლა კი ოთხი წლის მუშაობით სუთიადე თუშანი შეგროვდა და საქმეს შეუდგა.

ერთ დღეს კურკა ხარხ დარხას ეწვია და დახარკა გაუბა. ჯერ ძველი ნინობობა მოაკონა, მოუყურას და მერე შიდახარ საქმეზე გადავიდა. დარხას სახარხარს გვერდით ორიადე სუქნი ცარიელი ალაკი ჰქონდა და კურკასაც სწორედ ამ ალაკის დაქირვება უნდოდა. მოლახარკებამ თითქმის ერთ კვირას გასტანა. დარხა ცოც ურზე იდგა, რადგან მუშტრის წართმევის ეშინოდა, მაგრამ კურკამ ფიცი მისცა, რომ ახად ჩუსტებს არ შეჭკვრავს და მხოლოდ დახეულებს დააკერებს. ბოლოს დარხამ ორი საუქნი ცარიელი ადგილი თვეში ორ მანეთად დაუთმო, ისიც იმ ზირობით, რომ ერთი წლის შემდეგ იქ აშენებული შინობა დარხას უნდა დარჩენოდა. მორე დღეს სადამო ფიზე კურკა ერთ სამხერხარს მიადგა, მოუღილი სათი გარშეო უნა, კრვად დათავადიერა და, კრვად რომ ჩამოხედდა, დობეკე გადაძვრა. რამდენიმე წუთის შემდეგ ორ ხატარა ოცდობილ დატყობილ კურკა ბნელ ქეხებით მიამხარებოდა და თხარ განკებ ისე ანხეინად დიდებდა, თითქო აქანაფრობო, ერთი კვირის შემდეგ დაქირავებულ ადგილზე კურკამ ორსართულიანი ფინურული ქოხი წამოჭრა. თითო სართული სიმადლით, სოკობით და სიკობით არშინ-ნახევარი იქნებოდა თვითონ კურკა დალა სართულში მოთავსდა. მორე სართული კი თვეში შვიდ ბახად ხალიბის დამეკრებულ თათარს მიქინავა.

თათარი წამოაწევი ხალიბის გარედ ცადმოშვიდა ხოლმე და კურკას ღუქანს უბნებდა. კურკა ბახობდა, ჯავრობდა და უფოროდა, მაგრამ არც თათარი უთიობდა და ემუქრებოდა, თუ თავს არ დამახებო, ღუქანს დაგდებო. კურკამაც იცოდა, რომ იმ ოთხრის გარდა არშინ-ნახევარი ღუქანს არავნ დაქირავებდა და ამიტომ მადე მიჩუმიდებოდა ხოლმე, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ ატვებოდა და თათარს სიციცხლეს უმწარებდა.

— კაცო, ვინა ხართ ქრისტიანი! ერთი ამ ოხერს უთხაროთ რამე! დამახებოთ თავი, რას ჩამიციობა! — უფორდა ქეხში გამხარული კურკა და მიშველელს ეძება, მაგრამ მოხარბილობის მაგიერ მთელი ბახარი კურკას ატყუნებდა და დასტინდა. თათარი კი თავისთავის ოჯად, გაჩქარებოთ მუშაობდა, კურკას თვადელი უბრახობდა და თათრულად ბურტყუნებდა. ერთხელ მოთმინებულან გამოსული თათარი მორე სართულიდან ცადმოხატა და სადაგისთ ხელში კურკას ღუქანს კარებს ეტა, მაგრამ კურკა კუნჭულში მიიკუნტა და ისეთი დროლი და ტლინკა მორთო, რომ თათარი დაფრთხა და თავი განახა. იმ დიდიან კურკა ისე დამინდა, რომ თავის მდემურს ხმას დაარ სტემა და მოწიწებით ერიდებოდა.

წელიწადი რომ გავიდა, დარხამ ადგილის ფასს თვეში კიდევ მოუხატა. კურკამ ეს ათი შავი თათარს დაჯიხის და შვიდი ბახარის მაგივრად ცხრა აბახუხადე უნი გაუხდა. ამაზე ერთი ადობითი და აუღამაული ასტვდა. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ კურკამ ერთი აბახი დაუგლო და ქეხი შავი თვითონ იკისრა. მაგრამ დარხა ამასაც არ დასჯერდა და, რაც ხანი ცადოდა, ქინას სულ უმატებდა და უმატებდა. კურკა ჯავრობდა და ზედ მეტ ფასს თათარს სთხოვდა. თათარიც ჯავრობდა და კურკას მთელი დღეობით ეგატრებოდა.

კურკას საქმე გართულდა, განხარბობა და იარ-დარობა. ერთ დღეს ვიდაც სომეხმა იმის ღუქანს გვერდით მორე სახარხარ გახსნა და კურკას ქიშობა დაუწყო. ისე მუშტარი არ მოვიდოდა, რომ იმ სომეხს არ ჩავკლო ხელში. სომეხმა ფასი დასწია და თავის მოჯობე კურკას შიგ კრეხში ჩაუგდა. მოვიდოდა თუ არა მუშტარი, ისიც იქვე აიტყუნებოდა და დაუწეებდა ვაჭრობას. თუ კურკა მუშ-



ტარს ახალ მონსტრად, სომეხი იმე სქემის გაკეთებას სამხურად გასრულებდა და მუშტარს იტაცებდა. კერამი ჯერ ჩხუბი და უფრო ილო სცადა, მაგრამ სომეხმა მალე ჩაჩუმდა და სულ დაბრუნდა ისე დადბრუნებულად კურკა. თათარი ლექსის ქირას არ იძლეოდა, დარჩო კი იჯარის ფასს სულ უმატებდა და უმატებდა. კურკამ ბეგრი იფიქრა, ბეგრი იმტერის თავი და ბოლომდე დარჩოსთან მივიდა. მოლოდინი კი დიდ ხნის გავრძელდა. კურკა თუქში ცხრა მანთის თხულებდა, დარჩო კი მხოლოდ ექვს მანთის იძლეოდა. ბოლომდე იმაზე მორიდებენ, რომ შენობა დარჩოს უნდა დარჩინოდა, კურკა იმისი მოჭამაგორე უნდა უფთხიყო და, რაც ფული შემოეგოდა, დარჩოსთვის უნდა გადაეცა. სამაგიეროდ დარჩომ კურკას თუქში შეიძინა მანეთი და უნიშნა და დაჭებდა, დილით „ზიკიუსკით“ არ ტიქა ჩაის და გლეჯინებ, სადილად წვინანს მოგვემ და დასძინებდად შენ ლექსის დატოვებო. მოწმად თრი ესახი და ისწრეს, ხელი ხელს მისცეს და სქემე გაათავს. მეორე დღეს დარჩომ სომეხ ხარხის რადაც შერი მოუღო და სცემა. იმ დღიდან სომეხი კურკას მუშტარი მოტაცებას ვადარ უბედვად და ცოტა ხნის შემდეგ იმ უნიდანაც გადავიდა. კურკას სქემეც მოემატა და შემოსავალიც. დღე არ გავიდოდა რომ კურკას სამი და ოთხი ახალი არ მიეტანა „ხეზინთან“. გარდა ამის დარჩო ხშირად უბეზინდა დასაკურებელ ჩხუბებს და, რასაკობრევიდა, ამაშიც ფულს იღებდა. კურკას ანტიკონით ის დარჩოს სულ ცოტა, თუქში ოც მანთის მანც აძლედა წმინდა შემოსავალს. კურკას ჯერ სწვინდა ეს მოტყუება, მაგრამ მალე დამორჩინდა თავის ბედს და ვეგადაგორე დაიგოწა.

დღეს დღე მისდევდა, კვირას — კვირა, თუქს — თუქს, წელიწადს — წელიწადი; ბეგრი რამ შეიგნა და ბახრში: ზოგამ ცოლი შეერთო, ზოგამ ახალი ლექსი გახსნა, ზოგამ გაკატრდა, ზოგამ გამოიდრდა. დარჩო მხოლოდ თავიდა კურკა, რომელიც არც ბურღებდა, არც მიდინდებოდა და არც ცოლს ირთავდა. ის წინანდებურად იჯდა თავის ქახში და ჩუქტებს აკურებდა; მას წინანდებურად აწვავდებდნ ვიღაც ბიჭ-ბუჭები და ისიც წინანდებურად ტირიდა და დრიალებდა:

— კარა-უ-უ... მიმეღე-ე-ე... გორდოვო-ო-ო... კაცო, რა გინდათ ჩემთან! კაცო, რატომ თავს არ დამხებებთ! რატომ არ მომხებებთ, რას ჩამივლით!

II

კურკას ვეგადაგორე მისწვინდა: ბახრის ბიჭების ოხუნჯობას, ჩხუბების კერვას, ლექსნი ჯდომც და თათართან კამათიც. მისწვინდა მთელ ქვეყანაზე მარტოდ მარტო უფთხს, მისწვინდა უმატრობის და უფლად დაბრუნება. აკურ რამდენი წელიწადი, რაც უფლად დღე დილიდან სდასმოდის ორარშინან ფინურულში ორად მოხროლო ხის და განუწვევებოდა ჰეკრავს. დადამდებოდა თუ არა, ლექსნი დარჩო შემოიხებდა და აკითხავდა:

— ახ, რა იგაჭკე დღეს? კურკან ნამუშავარს თითებზე ჩამოსთვლიდა და ფულს „ხეზინს“ იბრებდა. ისე დღე არ გავიდოდა, რომ დარჩოს კურკასთვის არ დაეგვედრებინოს, ჰოი, არაფერს აკეთებო, ჰოი, ფულს მიმალავა, ჰოი, მიქთად ზურს სჭამო და შენი ლექსნი ხეარს არ მძღვესო. კურკა ფიქრულობდა, ირწმუნებოდა და ცაცხარებით ამტკიცებდა, რომ ის ალად-მართალი კაცია, მატრონის უროგულად ემსახურებოდა და სიფალებ ან დალარი გუნებაშიც არ ჰქონია. დარჩო მანც არ იჯებოდა და უფლად დღე ემუქრებოდა, სიფალებში და გიჭკე და გიჭიკელო. დადინებულად და გულხატკენი კურკა წუწინითა და ბურტუნით სანაგში მიდიდა და თუნუქით ცხელი წყალი მიჰქვინდა. ჩაის სმის რომ გათავებდა, კურკას შეგინდინ ფიცარს მიაუღებდა, იატაკზე ერთ ძველ ფარჯას გაიშლიდა, თავს ძველ ჩხუბების ხროფაზე მისდებდა და

შუადამედის შამფურით ტრიალებდა. მეორე დღეს კურკა ისე ჩხუბებს ჰეკრავდა, დარჩოს ეფიცებოდა, ნამუშავარს სთვლიდა და სდასმოზე ისე ჩაის სცემდა და შუადამედის ფიქრობდა. შესამე დღესაც სწორედ ასე ატარებდა, მეოთხესაც, მეათესაც და ასეთ ერთგვარობას და მისწვინ მარტობას ბოლო ადარ უხნადა.

კურკას ძილი გაუფრთხა, მად დაეკარგა და სქემეზედც გულად ატრუნდა. მუცელი უფრო გაეზარდა, თავი უარესად გაებრა, მარჯვენა ფეხი თითქო წინანდელზე მეტად დაუშოკდა, თითონაც თითქო დადაბლდა, ზირისაც მოკლეში, დადინდა, დადარდა და დაფიქრინდა.

კურკა ესე: მხოლოდ თვის ობლობაზე, მარტობაზე და ემატრობაზედა ფიქრობდა.

— ცოლი უნდა შევიერთო! — სობლოდ გადასწვინტო კურკამ დილი ხნის ფიქრის შემდეგ და იმ დღიდან მუშაობის დროსაც მხოლოდ ცოლის შერთვაზედა ფიქრობდა.

ერთ კვირას დღეს თავიდა კურკა თავის ლექსიდან დიდა ადრინანდა ახალ ტანისამოსით გამიჭრა, იქვე ტრეტურსზე დადგა, დარჩო შემოიფარა და გამეღელ-გამიშველს ამაყად დაწყო ტქერა. წინანდელ კამოს ლ ტუგვის მაგიერად ახალი მოლოდინზე „მარტოში“ ესურა, ლურჯ ხალათის და შალგის ნაცვლად სარტინის მოკლე ახალუხი და ასეთივე კანიერი შალგარი იცვა და ფეხებსაც ექვს მანთიან დაკეცილი ჩექმები უმშვენებდა.

კურკას ახალმა ტანისამოსმა მთელ ბახრში ერთი ალიაქოთი ასტეხა. ვეგანნი გარეთ გამოვიდენ, კულკას შემოხებენ და განახლებას უღობავდენ.

— ვა, ერთი ახას დახე, და!  
— ბიჭო, კურკა, ეგ რა შენი დაკეცილი! მადარჩინ შენზეა, აი!  
— ვა, ერთი დახე, როგორ შეგინს, და!

კურკა გუნებაში იდებოდა, მაგრამ ამ სომეხების არავის აჩვენებდა და ისე გულგრილად ეტონ თავი, თითქო ასეთი ძვირფასი და ახალი ტანისამოსი იმისთვის ზირული არ უფთხიყო. დარჩოს შავრდემც მოუღობა ახალი ტანისამოსი და უნდოდა კახში წასწდომოდა, მაგრამ კურკამ ხერხი დროზე გაუგო და ასეთი სიდა სტეიცა, რამ თავზედა მეტიანა ერთ არშინზე გადახტა. კურკას ეს სქემელი მოუწინეს და აქეთ-იქიდანაც გამხნევეს. კურკას სცოდენს ეკებდა, დღეს თუ ხვალ უნდა დანიშნულიყო და, ახა, როგორ შეუფრებოდა ვიღაც ბიჭ-ბუჭების თავის გაუადრება, მისხრობა, ლანდვას და კინჯალთა! კურკას მტკიცედ ჰქონდა გადაწვეტილი გულის გამაგრება, გაუაყვარება და თემოფარების დაცვა, მეზობლების მხრით გამხეგებას ურადლებს არ მიატეხა, ზირისახიდან გულგრილობის გამომტყუვლებს არ მოიშორა, ქუდი გვერდზე მოიკლო, მარჯვენა ფეხი წინ გადა და აქეთ-იქით უფრო მეტის გულგრილობითა და სიამოეთ დაიწყო ტქერა. კურკას დანახვაზე ნანდობები იდებოდნენ, გამარჯვების ეუბებოდნენ და უფრო მეტის ურადლებითა და მატევისცემით ემერობდენ, ვიდრე წინა დღეს.

რამდენიმე დღის წინად დარჩომ კურკას ცოლის შერთვაზე ჩამოუგოდა ლახარკი და ერთ ქალს, სიტუვა გადაურკა. კურკან აქვას ლახარკის, გამოუტრდა და უთხრა, თუ სჩემო შემიხვდა ვინმე და მამეწინა, უარს არ ვიტყვო. იმავე სდასმოს, ლექსები რომ დაკეტეს, დარჩომ კურკას ალექსანდროვის ბაღში წაიყვანა, „მარტოხეზე“ დაჭემატე და ისეც ცოლის შერთვაზე ჩამოუგოდა ლახარკი.

— მართალია, შექვია არ აქვს — ეუბებოდა დარჩო, — მაგრამ ძალიან მატეოსანი, დინჯი, თავდაჭერილი და მოხდენილი ქალია, მე რომ უცოდო ვიყო, დემოშინი, იმაზე დაგწვინდი ჯვარსა. ბეგრი ლახარკის შემდეგ დარჩო და კურკა მორიდებენ. კვირას დილით კურკას თავის ლექსთან უნდა მოეცადა. იმ ქალს დასაკე-



საქართველო  
საბჭოთაო

რბული ჩუსტები უნდა მოეტანა და კურკასაც აქ უნდა გუ'ინჯა თავის საბედა. თუ მოეწონებოდა, დარჩა გაურბიკება და კურკას-კან სამაჯნელის ორ თუმანს მიიღებდა, თუ არა და ქალი თავისთვის წავიდოდა, კურკა თავისთვის.

ხალხი ბუზსავით ირეოდა. კურკა ისევ დონჭუმეფრეილი იდგა და გამგელ-გამომგელ ქალებს გაუფრთხილებით ადევნებდა თვალ-ყურს — ნუ გეშინან, უნადად იყო. ესეავე მოკა. — უთხრა დარჩიმი და იქვე სარდაფისკენ გასწია.

ცოტა ხნის შემდეგ მამაც გამოჩნდა. კურკა იმას არ იცნობდა და არასდროს : რ ენას, მაგრამ გულმა უგრძობა, მიხვდა და გული ატრიალა, აუტკერდა და ფრთხილი დაუწყო.

მაშე მალაქი, მისული და მოუხეშავი ქალი იყო. სიბრუნელი მტკიცე და ვაჟაგურა ჭქმნდა; შირისასე — უკმეხი, გათლელი და ჩანჩქელი. ცალ ხელში წვეილი ჩუსტი ეჭირა, მეორე ხელს კი ისე იქნებდა, თითქმის ვისმეს იკრებდა.

კურკა აიღწია, გაწითლდა და დაიბნა. მაშე იმის დუქნის კარებთან გაჩერდა და მიიხედ-მოიხედა.

— ვინა გნებათ, ქალბატონო? — წაიღუღლუდა კურკამ.

— ხარობი, — ბახისა და ჩახეჩილის ხმით მიუგო მაშემ.

— შე განჯავრთ.

ერთ ჩუსტს მაშე ატრიალებდა ხელში, მეორეს — კურკა. ორივენი ჩუსტებს სინჯავდნ და სხვახარკო მასლას ეძებდნ.

— რა ეღიბება? — იკითხა ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ მაშემ.

— რა ეღიბება? ჭმბი... ამასაც დაეკრება უნდა, ეს ეღიბება... თქვენთვის... თქვენთვის...

კურკას ენა დაეხა, ხახ გაუშრა, აირია და ბოლქს, დიდი გაჭირვების და წვალების შემდეგ წაიღუღლუდა:

— თქვენთვის არაფერი არ ეღიბება... ისე დავაკრება...

— არა, რათა?.

— არა, რათა, რა უშავს... ერთი ნიმუტის საქმეა. აი, ცოტა ხნის დაბნადით... ან გაიხირონეთ და მალე მისად იქნება.

ამ დროს დარჩიმი მოვიდა, მაშის მიესალმა, მერე კურკას ჭკითხა, რა ამბავია და, როცა გაიგო, რომ კურკა სხვავე ამბობს ჩუსტების დაკრებას, გაჯავრდა და უთხრა:

— ხომ არ გაგიუბუღხარ! კვირა დღეს როგორ შეიძლება მუშაობა? დაკრე დუქანი და წავიდეთ, გავიაროთ და მაშეც გაგსერიანოთ.

სამივენი სისერიანოდ წავიდნ.

კურკა მაშისა და დარჩიმს შუაზე ჩაუდგა და სულ იმას ცდილობდა, რომ სწორედ გაეგო, არ ექნახის და არც ფეხით ეტყენა, მაგრამ სწორე გაფლას ვერ ასერსებდა და ხან მაშის ჭკრავდა მხარს, ხან დარჩიმს აწუღებდა. კურკამ ორივენი ჯერ ტრამვით გასერიანა, მერე ადუქანდროვის ბაღში წაიფხანა და იქ ღიმილს და ხილზე დაჭმბოდა. მაშე როგორც უნდა უნდა იქცოდა. ვინმე ნინობა რომ შესხედროდა, იღმბობდა და რაღაცებს ანიშნებდა. ისინიც უდიდოდნ და ორბრთვან სიტუებებს ეუბნებოდნ. კურკა უგელაფერს ხედავდა და იმ უნებობებზე ჯავრი მისდიოდა. დარჩიმი კან განსე დიდოდა, ზოგჯერ კურკას ხელს წაჭკრავდა და ეუბნებოდა:

— ჭა, უთხარი რამე კარგი, — რას განუშეუღხარ?

— ვა, გეტყვი, მაშე! — უმსუხებდა კურკა და იტონებდა, რა ვუთხარო, მაგრამ შესაფერს გერას იტონებდა და სდუმდა. მერე ორივენი მარტო დარჩნ.

— ნეტავ იმას, ვისაც ცოლი ჭყავს. ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ სთქვა კურკამ და მაშის გადახედა.

მაშემ გაიბნა.

— რას იბნით?

— არაფერს. ცოლის შერთვა დვილია.

— მერე ვინ უნდა შევიროთ?

— ვინც მოვწონთ.

— თქვენ მომწონხართ. — თავისდაუნებურად წამოისროლა უცე კურკამ და შერცხვა.

მაშემ ბახის ხმით გადაიხარა.

— თქვენც მომწონხართ, — დიდილით მიუგო მან და შირი ბგერდზე მიიღო.

კურკა სიხარულსაგან დაიბნა, აირია და აღარ იტოდა, რა ეთქვა. ორივენი განუძენ.

მაშე და დარჩიმი ერთად წავიდნ. კურკა მარტო დარჩა. სამივენი სადამახე ერთად უნდა წასუდოეყენ შემტაიღში.

კურკაზე ბუნებრივი მთელ ქვეყანასე რავინ იქნებოდა. სიხარულსაგან გაბრუა, ბედნიერებით დათვრა და უგელაფერი დაავიწოდა. ის მაშისა და მომავალს კარდა აღარაფერსე არ ფიქრობდა. აღარავინ ხედავდა და ოცნებით გატრებოდა, წამდუწუმი გამგელ-გამომგელებს აწუღებოდა. თავ-ჩადუნული და მდომარე კურკა ხელების ქნევით, ფეხის ცუღვით და მთელ ტანის ქანაბით ქუნა-ქუნა დადიოდა და ოცნებობდა, ბოლოს როგორც მადათთვის კუნძულზე განხდა. ჭკვით ჩახეხია, სამხერსხეუბის გამოცრდა და მტკერის შირას გაჩერდა.

ამ დღეს მზე უფრო მეტად ანათებდა, ვიდრე ოდისმე, ჭკვრიც გასუთვიდა და გათბა. ირგვლივ უგელაფერი გამხარულდა და უგელა კურკას გულკეთილი, გულწრფელი და გულითადი შერობარი განხდა. არე მარცხე გაფაქიხდა, განსხდა და გაიწმინდა.

კურკა მტკერის შირას იდგა, წულის მხუაღს უფრს უღებდა და მდომარე შირისასით ოცნების ტალღებში დატრუნავდა. გულზე რაღაც აწებოდა, მკერდს უგანიერებდა და ამისგლას ღამობდა.

— ჭკვანასხე შემიფარდა-ა-ა მაშე მე-ე-ე... — წეროდ ხშირ დასძახა უცე კურკამ და თვალზე ცრემლები მოაწვა.

— მაშემ მომეკლ-ა-ა, მაშემ დამდოხა მე-ე-ე...

ხმა აუკანკლდა, აუთრთლდა, აუგერესდა.

— არ ვიცოდი სიფარულის ძა-ღა მე... გაფიცილე ე თავსე ხს-ათაბა-ა მე...

კურკა მთელი თავის არსებით გერესოდა, თრთოდა, ოხრავდა და ტირილდა.

— არ ვიცოდი-ი სიფარულ-ი-ის ძალა მე-ე-ე.

გადვიცილე-ე თავსე ხათაბა მე-ე-ე...

ხმის კანკალით მოსთქვამდა კურკა და წამდუწუმი ცრემლები იწმენდავდა.

ცოტა შესვენების შემდეგ რამდენჯერმე ჩახეხა, უფრო ჩამწმინდა და წეროლი ხმით გაბედულად ბათით დასძახა. კურკას თვითხეე მოსწონდა თავის წკრილს ხმა და გრძობით სავსე კილო, რომელშიც ჩართული იყო გულიდან ამხანაგენისი იქედა, სიხარული, ბედნიერება და თავდავიწყებელი გატრებება; მოსწონდა ხელბის გაშლას და თვალბიდან მომდინარე ცრემლების ნაკადული, რომელიც სულს უგრძობდა, გულს უფხნდა და იტონის ხნით შეტრავილ დარღს უჭრებდა; კურკას მოსწონდა ეს განათავისუფლება, განწმინდა, განაჯავრება და კარგა ხნის მღეროდა, ხელებს იქნეგდა, თვლებს ჭეცას ახერობდა და ცრემლები იწმენდავდა.

სიმღერით გამძდარი და გულმკერებელი კურკა დუქანში შეკადა და დვილი მოათხოვა. იქვე, იმის ბგერდით, ვიღაც ჩიხანებო ისხდნ და ქეითობდნ. კურკამ ჯერ სამიადე ჭკა კად-ჭკა და მუთხე ერთ ჩიხანის გადაულოც. იმხანც დღობა და კურკასთან აღაჯავრდნ გამიფილია. სადღეკრძელით სადღეკრძელი მოჭეე, სიტუას-სიტუე. ჯერ კურკასე შიგადა.



— ძმობაჟანი — დაიწყო ხმახალა კურკამ და გავიქიმა, წელში გასწორდა და გაბღინდა. — ძმობაჟანი ეს დემონთა ადღეგრძელოს და ანთცხლოს ის კაბა, რომელიცა რომა მარტოა, რომელიცა ობოლია, უმატრონა და რომელიცა რომა მინდღემებს ოჯახის აშენებას. გაუმარჯოს და ადღეგრძელოს ასეთი კაცი!

— გაუმარჯოს! ადღეგრძელოს! — უგულოდ მიუგებს უცნობებმა და ცოტა მოსვენს.

კურკა შიხდა, რომ იმის სადღეგრძელოს გ სავალი არ ჰქონდა და გაწითლდა.

ხსენებარ საათის შემდეგ მხიარული და შეეგრებულა კურკა შინისკენ მარჯნალებდა. მარჯვენა ფეხს ფართოდ უსვამდა, თავს საქანელასვით ახლავდა, ეძელ ხელებს ფრთებოვით იქნევდა და გამუდმულ-გამოუდგელს შვეხნდა და ამოუღო თვალიერებდა.

— ჭიბ-ჭუე-ჭუი! — უფროდა ხანტიმოშვებით და არაფის გზას არ აძლევდა.

სადამოშდის კიბინა, შიხის ჩასვლისას კი ის, დარჩა და მამო მუშტაიღში წავადუნ. ხალხი ბუხსავით ირუდა, მუსიკა უგრავდა და სადამოც მიშენიერო იყო. საშოეინა ჯერ ხალხში დადგომდენ, მერე კი გზას გადაუხვიოს და ბნელ ხეივანში შეეღწენ. დარჩა სადღაც დაიკარგა. მამო და ჭურკა სკამზე დასხდენ და გაინაბენ. კურკას ახლო მიწევა უნდოდა. მაგრამ ვერ ბედავდა.

— ცოვა, — სთქვა მამომ და ახლო მიწა.

— აცოვდა, — მიუგო კურკამ და იმანდ მიწა.

ცოტა ხნის შემდეგ კურკამ ტანზე ხელი მიხვია. მამო ჯერ შემოშეშუნა, ატოვდა, მაგრამ მერე განერდა და გაინაბა.

კარკა რომ შეღამდა, მამო და დარჩა ერთად წავადენ, ხოლო სიყვარულით დამოვრალი და გაბრუნებული კურკა თავის ფიცი რუღში შეძვრა და შუადამოშდის იმ ბედნიერ დღეზე ფიქრობდა, როცა ის მამოს კანონიერი ქმრა განხდებოდა და ნება ექნებოდა მუდმივ ისევე ეაღერხოს, როგორც მუშტაიღში.

კურკა მამოს სურათს უდიდოდა, მისკენ ხელებს იშვერდა, ეხეგოდა, ცქმუტავდა, ტრიალებდა და სიყვარულის უსახლოვრო ბედნიერებით სტკებოდა. ბოლოს დიდალა, მოეშვა და თვალები მიდღულა.

— ორ ოთახს დავიჭერ... — ოცნებობდა კურკა და თავის მამოვალ ოჯახის ტეგმას წინაწინე ადგენდა. — ერთ ოთახში დუქანი იქნება, მეორეში ჩვენ ვიცხოვრებთ... ორ შვიტრდს ავიყვან... ავიყვან ვივიდი... ს. მოვარო... ტ. სტ. ... ოთხი სკამი... სარკე... ტურტული... ზ. ფხულობით მუშტაიღში ვივლი... „კონკიო“ ვი-სეინებთ... ეკლესიაში ვაგლით .. დარჩა ჩემი მუჯვარე იქნება... ნათესავებიც გვიეოვლებ... სტუმრებიც...

ოცნების ძაფს ბოლო ადარ უხანდა. კურკამ ორი ოთახიც და-ქირავა, შეკარდებიც გ ოხანა, ს მოვარიც ივიდა, სტუმრადც დ-დიოდა, მუშტაიღშიც დასეინობდა, მამოს ეაღერხებოდა, ბედნიერად ცხოვრობდა, გ ნცხრომ. ში იყო და...

დაიძინა.

მ. აღამაშვილი.

(დასასრული იქნება)

რედაქტორი ფ. გოგინიშვილი  
გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.



იცილება ტფილისში — საფთობა საქონლის კავკასიის საეკორო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (წლ.)

გაზეთის მფლობელი  
მოითხოვთ ნაგავიერი

„მოღობინი“ მ. ვ. ლიხაძისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას ზ მეტ-ბორცს ძირიან-ფესვიანად, მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22437.

**Открыта подписка на 1906 годъ**  
НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЕЖЕНЕДЕЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

**ВОКРУГЪ СВѢТА**

Съ 1906 г. журналъ будетъ выходить подъ новой редакціей, которая ставитъ своей задачей, НЕ ИЗМЕНЯЯ ПРОГРАММЫ ЖУРНАЛА, сдѣлать его отвѣчающимъ современному освободительному движению родины. Въ журналѣ издадутъ свои мѣсто очерки и картины, рисующи современную общественную жизнь культурныхъ странъ. Широкиимъ словомъ населенія Россіи, вступающей въ новый періодъ своей исторіи, необходимо ознакомиться съ тѣми, какъ живутъ государства, идущія впередъ насъ по пути прогресса. Какъ они устроили свою жизнь на началахъ СВОБОДЫ, РАВЕНСТВА И БРАТСТВА.

**ВЪ ТЕЧЕНІЕ ГОДА ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:**  
№№ художественно-литературнаго журнала.

**50** Путешествія. — Этнографія. — Романы и повѣсти, изображающіе разные приключенія на сушѣ и на морѣ. — Очерки и разсказы. — Стихотворенія. — Споры. — Картины. — Иллюстраціи. — Портреты. 1.200 столбовъ. 7-кста.

**ВЪ КАЧЕСТВѢ ПРЕМІЙ ПОДПИСЧИКАМЪ „ВОКРУГЪ СВѢТА“ БУДУТЪ ДАНЫ СЛѢДУЮЩІЯ БЕСПЛАТНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ:**

**Борцы за свободу.**  
Альбомъ портретовъ дѣятелей русскаго освобожденія.

**24** КНИЖКИ РОМАНОВЪ **ЭМИЛЯ ЗОЛЯ,**  
куда войдутъ слѣдующія произвѣд. пользующ. всемірной извѣстн. ПИСАТЕЛЯ-РЕАЛИСТА:  
Римъ. — Лурдь. — Парижъ. — Трудъ. — Углекопы. — Правда.

**12** вылусковъ. ПОЛНЫИ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ОБЩЕДОСТУПНЫЙ ЛѢЧЕБНИКЪ знаменитыхъ русскихъ профессоровъ-медиковъ

**„КНИГА ЗДОРОВЬЯ“**, объемомъ болѣе 1.000 печатн. страницъ, съ 500 оригинальными рисунками.

Подъ редакціей слѣдующихъ профессоровъ-медиковъ: Н. П. Гундобина, С. І. Зальбскаго, А. А. Кадьяна, И. К. Коновнина, П. Я. Розенбаха, лейбъ-окулиста Н. И. Тихомирова, и Г. Ю. Явейна.

І. Гигіена, или какъ надо жить, чтобы не хворалъ. Редакт. проф. С. І. Зальбскаго. ІІ. Естественные методы лѣченія, или какъ лѣчить, не принимая лекарствъ. Редакт. проф. Н. П. Гундобина. ІІІ. Внутренніе болѣзни (дегнхъ, сердца, желудка, кишкы и т. д.). Редакт. проф. Г. Ю. Явейна. ІV. Дѣтскія болѣзни, гигіена ребенка и уходъ за дѣтьми. Редакт. проф. Н. П. Гундобина. V. Хирургія. Редакт. проф. А. А. Кадьяна. VI. Болѣзни нерва. системы. Редакт. проф. П. Я. Розенбаха. VII. Душевыя болѣзни. Редакт. проф. П. Я. Розенбаха. VIII. Глазныя болѣзни. Редакт. лейбъ-окулиста, проф. И. И. Тихомирова. IX. Анатомія и физиологія (здоровья и строеіе челоѣ. тѣла). Редакт. проф. Н. П. Гундобина. X. Болѣзни кожи, волосъ и ногтей. Редакт. пр.-доц. И. К. Коновнина. XI. Отравленія, несчастные случаи, аптека и домашн. аптечка.

Въ отдѣльной продажѣ „Книга Здоровья“ стоитъ 3 рубля.

Кромѣ того, съ прилаганіемъ одного руб. подлиннич. „Вокругъ Свѣта“ получаютъ ЦѢННОЕ приложеніе — художественно-полноценн. въ нѣсколько красокъ картину извѣстнаго художника

**„ГАЗЕТА ВЪ ДЕРЕВНѢ“**, снимокъ съ послѣдней его картины, обратившей на себя всеобщее вниманіе на Переладной высотѣ въ Москвѣ и Петербургѣ въ 1905 г. и посвященной изображенію отношенія вытѣшней деревни къ послѣднимъ событіямъ русской жизни.

Оригиналъ, съ котораго воспроизведенъ снимокъ, приобрететъ съ Переладной выстави за 3.000 рублей.

**4** ЦѢНА НА ГОДЪ безъ картинъ „Газета въ деревнѣ“ Р. съ перес. и доставк.

**5** ЦѢНА НА ГОДЪ съ картиной „Газета въ деревнѣ“ Р. съ перес. и доставк.

ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА: при подпискѣ 2 р., къ 1 апрѣля 2 р., къ 1 юля 1 р.

Адресъ: Москва, Петровка, д. Матвѣевой. Редакція журнала „Вокругъ Свѣта“.

Изданіе: Т-ра И. Д. СЫТІНА.